

სურსათის რეგულირება
ევროკავშირში

სურსათის
პირითაღი
კანონი

თბილისი – 2013

ამ სტატიით იწყება სურსათის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის ქართულენოვანი მიმოხილვების სერია, რომელიც 2013-1014 წლებში გამოიცემა ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“. პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

ავტორი ლია თოდუა



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი



საქართველოს
სტატეგიული
კვლევებისა და
განვითარების ცენტრი



საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს.

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2013 წ.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ევროკავშირის 178/2002 რეგულაციას¹, რომელსაც სურსათის ძირითად კანონსაც ეძახიან. ეს კანონი ევროკავშირმა საკმაოდ გვიან, 2002 წელს, მიიღო. კანონის შინაარსის და აქცენტების უკეთ გასაგებად, ასევე იმის გასარკვევად, თუ რატომ დასჭირდა ევროკავშირს 45 წელი ამ კანონის მისაღებად, საინტერესოა საკითხის წინაისტორიის გაცნობა.

სურსათის თავისუფალ გადადგილებაზე ზრუნვა

1957 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის² შექმნის ძირითად მიზანს³ ვაჭრობის ერთიანი სივრცის – „ერთიანი ბაზრის“ – ჩამოყალიბება და ეფექტური ფუნქციონირება წარმოადგენდა. ერთიანი ბაზარი ე.წ. „ოთხ თავისუფლებას“ მოიცავს, რაც ნიშავს პროდუქციის, კაპიტალის, მომსახურებისა და სამუშაო ძალის თავისუფალ გადადგილებას/მიმოქცევას თანამეგობრობის მთელ სივრცეში. ამისთვის უნდა გაუქმებულიყო წევრ-ქვეყნებს შორის არსებული საბაჟო გადასახადები თუ ტარიფები, იმპორტ-ექსპორტის რაოდენობა.

¹ ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის 178/2002 რეგულაცია სურსათის კანონმდებლობის ზოგად პრინციპებისა და მოთხოვნების დადგენის, ევროპის სურსათის უვნებლივის უწყების დაფუძნებისა და სურსათის უვნებლობის საკითხევში პროცედურების დადგენის თაობაზე. Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety.

² ევროკავშირი ეფუძნება ერთი და იმავე 6 ევროპული ქვეყნის (ბელგია, გერმანია, ფრანგია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) მიერ შექმნილ სამ თანამეგობრობას: 1951 წელს პარიზში დაფუძნებულ „ქვანაბშრისა და ფლედის ევროპულ თანამეგობრობას“ (European Coal and Steel Community, ECSC) და 1957 წელს რომში დაფუძნებულ ორ თანამეგობრობას – „ატომური ენერგეტიკის ევროპულ თანამეგობრობას“ (European Atomic Energy Community, Euroatom) და „ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას“ (European Economic Community, EEC). 1993 მასტრიხტის ხელშეკრულებით სამივე თანამეგობრობა ერთ ორგანიზაციაში – ევროკავშირში – გაერთიანდა.

³ რომის 1957 წლის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების მეორე მუხლი: „თანამეგობრობის დანიშნულება ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების და წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკის თანმიმდევრულად დაახლოების გზით ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აქტივობათა პარმონიულ განვითარებას მთელ თანამეგობრობაში, უწყვეტ და დაბალნახებულ ეკონომიკურ ზრდას, აგრეთვე სტაბილურობის ზრდას, ცხოვრების დონის ზრდის დაჩქარებას და წევრ-ქვეყნებს შორის უფრო მჭირდო ურთიერთობებს“ (ავტორისეული თარგმანი

ბრივი თუ სხვა, მსგავსი ეფექტის მქონე შეზღუდვები.⁴ სწორედ ამ მიზნით უნდა გამოეცა თანამეგობრობის საბჭოს დირექტივები, „რათა ერთმანეთისთვის დაეხლოვებინა წევრი-ქვეყნებს კანონების, რეგულაციებისა თუ ადმინისტრაციული ზომების ისეთი დებულებები, რომელთაც უშუალო გავლენა ჰქონდა ერთიანი ბაზის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე“.⁵ ბუნებრივია, საერთო ბაზარზე თავისუფლად გადასაადგილებელ პროდუქციაში სურსათიც მოიაზრებოდა. შესაბამისად, 60-იან წლებში ისევე, როგორც სხვა პროდუქტებთან მიმართებით, სურსათან დაკავშირებითაც თანამეგობრობის კანონდებლობის ძირითადი ყურადღება თანამეგობრობის მთელ ტერიტორიაზე მისი თავისუფალი მიმოქცევის უზრუნველყოფაზე იყო მიმართული.

ამ გარემოების გამო, სურსათის ერთიანი ევროპული კანონმდებლობა წარმოიშვა, როგორც სასურსათო პროდუქტების თავისუფალი მიმოქცევისათვის არსებული სავაჭრო ბარიერების დაძლევაზე მიმართულ რეგულირებათა ერთობლიობა.⁶ ამ ადრეულ ეტაპზე კანონმდებლობის მთავარი მიზანი იყო არა მომხმარებელთა დაცვა ან სურსათის უვნებლობისა თუ ხარისხის უზრუნველყოფა (რაც თითოეულ წევრ-ქვეყანაში საკმაოდ მაღალ დონეზე ისედაც იყო უზრუნველყოფილ ეროვნული კანონმდებლობით), არამედ უფრო მნარმოებელთა ინტერესების დაცვა, ანუ თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მნარმოებელთათვის (მათი პროდუქციისათვის) „ერთიანი ბაზრის“ მთელ ტერიტორიაზე თანაბარი შეღწევის უზრუნველყოფა (რაც თავისთავად მომხმარებელთა ინტერესებშიც შედიოდა, ვინაიდან მეტი კონკურენცია პროდუქციის ფასის შემცირებას ნიშნავდა).

პროდუქციის თავისუფალი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად თანამეგობრობის ტერიტორიაზე 60-იანი წლების პირველ ნახევარში თანმიმდევრულად გაუქმდა წევრ-ქვეყნებს შორის საბაზო გა-

⁴ ეს დებულება მოცემულია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების მესამე მუხლში:

„მეორე მუხლში მითითებული მიზნის მისაღწევად თანამეგობრობის ქმედებები მოიცავს ...“

ა) წევრ-ქვეყნებს შორის საბაზო გადასახადების, საქონლის იმპორტ-ექსპორტის რაოდნობრივი შეზღუდვის და ყველა სხვა, მსგავსი ეფექტის მქონე ზომების აღმოფხვრას; ...გ) დაბრკოლებათა მოსპობას წევრ-ქვეყნებს შორის ადამიანების, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისათვის“. (ავტორისეული თარგმანი).

⁵ იმავე ხელშეკრულების მე-100 მუხლის პირველი ამზადი.

⁶ ე.წ. ნეგატიური ჰარმონიზაცია.

დასახადები, ტარიფები და შეზღუდვები.⁷ მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი ერთი ქვეყნიდან მეორეში საბაზო პროცედურის გავლის გარეშე ხვდებოდა, საბოლოო ჯამში ის ერთი ეროვნული სამართლებრივი სივრციდან მეორეში გადადიოდა და, შესაბამისად, ამ პროდუქტით ვაჭრობა რეგულირების სხვა ჩარჩოში ექცეოდა. ეს ჩარჩო კი ხშირად მას წამგებიან მდგომარეობაში აყენებდა.

საქმე ისაა, რომ თანამეგობრობის ქვეყნების სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მარეგულირებელი ეროვნული ნორმატული აქტები არა მხოლოდ მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად, არამედ ხშირად შეფარულად წარმოადგენდა შიდა მნარმოებლის დაცვის, პროტექციონიზმისა და მისთვის უპირატესი პირობების შექმნის საშუალებას. ერთიანი სავაჭრო სივრცის ფუნქციონირებისათვის ასეთი შიდა რეგულაციები ხელშემშეღელ ფაქტორს (ე.წ. „სავაჭრო ბარიერს“) წარმოადგენდა და თანამეგობრობის სავაჭრო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ძირითადად სწორედ მათ გაუვნებელყოფაზე იყო მიმართული. ამისათვის განზრახული იყო თითოეული პროდუქტის მარეგულირებელი ეროვნული რეგულაციების ერთმანეთთან დაახლოება („აპროქსიმაცია“ ან „ჰარმონიზაცია“). 1969 წლის დასაწყისში თანამეგობრობის საბჭომ დაახლოების ეს პროგრამა მიიღო [3], რომელიც თანამეგობრობის დირექტივების საშუალებით სურსათის 43 სახეობის მარეგულირებელი ეროვნული აქტების ურთიერთმიახლოებას ითვალისწინებდა.⁸ პროგრამა მოიცავდა როგორც სურსათის ცალკეული სახეობებს,⁹ ისე ზოგად საკითხებს, რომლებიც სურსათის ყველა სახეობაზე ვრცელდება: ეტიკეტირება, ანტიოქსიდანტები, ემულგატორები, სტაბილიზატორები, არომატიზატორები, სხვა საკვებდანამატები,¹⁰ სურსათთან კონტაქტში მყოფი ტარა, სინჯების აღების პროცედურა.

⁷ ბოლო ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო თანამეგობრობის საბჭოს 1966 წლის 26 ივლისის გადაწყვეტება, ხს. [2].

⁸ 1973 წელს პროგრამა და 50 სასურსათო მიმართულება მოიცავა.

⁹ სორცპროდუქტები, კავარ და შოკოლადი, ჯაჭვი და მარმელადი, კარაქი, ბულიონები და საკვები ექსტრაქტები, მაკარონი, მარგარინი, დიეტური საკვები, წვენები და ნექტარები, სოუსები, საჭმელი ყინული, შაქრის ნანარმი, ლვინოები, შაქარი, კონსერვირებული რძე, გამაგრილებელი სასმელები, შოკოლადის კანფეტები, პურ-ფუნთუშეული, ნამცხვრები, კაზენი, თაფლი, სხამებელი, თევზი და თევზპროდუქტები, ბურლულეული, მარი, ლუდი, მინარელური წყალი, ცხიმები და ზეთები, ყველი, სპირტიანი სასმელები, არომატიზატორები, ლარგა და ჩარჩო, ექსტრაქტები, ალაოს ექსტრაქტები, ტაპიოკა, საფუარი.

¹⁰ სურსათში გამოსაყენებლად დაშვებული სალებავები უკვე ჰარმონიზებული იყო 1962 წლის 2645 დირექტივით, ხოლო კონსერვანტები (პრეზერვატივები) – 1964 წლის 64/54/EEC დირექტივით.

თუმცა ამ ამბიციურ პროგრამას განხორციელება არ ეწერა – ალმოჩნდა, რომ წევრი-ქვეყნების მოსახლეობის კულინარიული ტრადიციები იმდენად მტკიცნეულად იყო გადაჯაჭვული მათ ეროვნულ იდენტობასთან, რომ თუნდაც ფართოდ გავრცელებული სასურსათო პროდუქტების (როგორიცაა პური, მაიონეზი, ლუდი, ყველი) შემადგენლობის უნიფორცირების მცდელობაც კი სერიოზულ პროტესტს აწყდებოდა.¹¹ მხოლოდ 1973 წლისთვის მოხერხდა სურსათის კონკრეტულ სახეობათა შემადგენლობის ჰარმონიზაციის¹² მიმართულებით პირველი დირექტივის – შოკოლადისა და კაკაოს დირექტივის¹³ მიღება. 12 წლის შემდეგ, 1985 წლისთვის, მას მხოლოდ 8 ვერტიკალური დირექტივა დაემატა, რომლითაც ჰარმონიზებული გახდა შემდეგი პროდუქტებით ვაჭრობა თანამეგობრობაში: შაქარი¹⁴, თაფლი¹⁵, წვენები¹⁶, რძე¹⁷, ყავისა და ციკორის ექსტრაქტები¹⁸, ჯემები და მარმელადები¹⁹, მინერალური წყლები²⁰ და რძის კაზეინი²¹. ამდენად, 16 წლის განმავლობაში სულ 9 ვერტიკალური დირექტივის მიღება მოხერხდა. აშკარა იყო, რომ ჰარმონიზაციის არჩეული მიღება არ მუშაობდა.

¹¹ სიტუაციას აგრეთვე ართულებდა ევროპულ თანამეგობრობაში გადაწყვეტილებათა მიღების იმ დროს არსებულ პროცედურა – ტექნიკური ჰარმონიზაციის დირექტივის მისაღებად აუცილებელი იყო ყველა წევრი ქვეყნის შესაბამისი მინისტრის თანხმობა.

¹² ანუ ე.წ. „ვერტიკალური ჰარმონიზაციის“.

¹³ Council Directive of 24 July 1973 on the approximation of the laws of the Member States relating to cocoa and chocolate products intended for human consumption (73/241/EEC).

¹⁴ Council Directive 73/437/EEC of 11 December 1973 on the approximation of the laws of the Member States concerning certain sugars intended for human consumption.

¹⁵ Council Directive 74/409/EEC of 22 July 1974 on the harmonization of the laws of the Member States relating to honey.

¹⁶ Council Directive 75/726/EEC of 17 November 1975 on the approximation of the laws of the Member States concerning fruit juices and certain similar products.

¹⁷ Council Directive of 18 December 1975 on the approximation of the laws of the Member States relating to certain partly or wholly dehydrated preserved milk for human consumption (76/118/EEC).

¹⁸ Council Directive 77/436/EEC of 27 June 1977 on the approximation of the laws of the Member States relating to coffee extracts and chicory extracts.

¹⁹ Council Directive of 24 July 1979 on the approximation of the laws of the Member States relating to fruit jams, jellies and marmalades and sweetened chestnut purée (79/693/EEC).

²⁰ Council Directive of 15 July 1980 on the approximation of the laws of the Member States relating to the exploitation and marketing of natural mineral waters (80/777/EEC).

²¹ Council Directive 83/417/EEC of 25 July 1983 on the approximation of the laws of the Member States relating to certain lactoproteins (caseins and caseinates) intended for human consumption.

ურთიერთალიარების პრინციპი

შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალი ევროპული სასამართლოს საშუალებით მოიქებნა. სასამართლომ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, რამაც ევროკომისიას ჰარმონიზის გადაწყვეტის გზა დანახა. ამ მხრივ ეტაპურ გადაწყვეტილებად მიჩნევა Casis de Dijon-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. ეს დავა წარმოიშვა 1976 წელს ფრანგი მნარმოებლის ღენე-ძენტრალ აჩ და გერმანიის ალკოპოლურ სასმელთა მონიპოლიურ ადმინისტრაციას (Bundesmonopolverwaltung für Branntwein) შორის. კერძოდ, ფრანგ მენარმეს სურდა სხვადასხვა ალკოპოლურ სასმელის, მათ შორის 15-20-პროცენტიანი ლიქიორის ჩასის დე მიჯონ-ის იმპორტი და გაყიდვა გერმანიაში. მან გერმანიის ალკოპოლურ სასმელთა მონიპოლიური ადმინისტრაციისგან მიიღო პასუხი, რომ ამ პროდუქტების იმპორტისთვის ნებართვა საჭირო არ იყო, თუმცა 15-20-პროცენტიან ლიქიორს მენარმე გერმანიაში ვერ გაყიდდა, ვინაიდან გერმანიის ეროვნული კანონმდებლობა 32 პროცენტზე ნაკლები სპირტის შეცველი ალკოპოლური სასმელებით ვაჭრობას კრძალავდა. ფრანგმა მენარმე გერმანიის სასამართლოს მიმართა. ამ უკანასკნელმა კი ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოსგან ითხოვა განმარტება,²² ჩაითვლებოდა თუ არა იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვის მსგავსი ეფექტის მქონე ზომად სპირტის რაოდენობრივი შეზღუდვა სასმელში.²³

ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს პასუხი იყო, რომ სანამ ალკოპოლური სასმელების წარმოებისა და გაყიდვის ერთიანი წესები არ იქნებოდა დაგენილი,²⁴ თანამეგობრობის წევრ-ქვეყნებს უფლება ჰქონდათ თავიანთ ტერიტორიაზე თავადვე დაერეგულირებინათ ეს საკითხები. ცხადია, ამ რეგულირებათა შორის განსხვავებას შეიძლება დაბრკოლება შეექმნა თანამეგობრობის ფარგლებში პროდუქციის თავისუფალი გადაადგილებისათვის. სასამართლოს

²² Court of Justice დაფუძნდა 1957 წელს რომის ხელშეკრულების თანდართული კონვენციით.

²³ ანუ ვრცელდება თუ არა მასზე რომის ხელშეკრულების 30-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „წევრ-ქვეყნებს შორის იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები და იმავე ეფექტის მქონე ყველა სხვა ზომები იკრძალება“ (ავტორისეული თარგმანი). ევროკომისიის 70/50 დირექტივა იძლევა განმარტებებს, თუ რა უნდა ჩაითვალოს იმავე ეფექტის მქონე ყველა სხვა ზომებად.

²⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პერიოდში ასეთი წესის პროექტი თანამეგობრობის კომისიას საჭიროში წარდგენილი ჰქონდა, თუმცა პასუხი იგვიანებდა.

აზრით, ასეთი დაბრკოლება გამართლებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს გამომდინარეობდა შემდეგი საჭიროებებიდან: ეფექტური ფისკალური ზედამხედველობის განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, კომერციული ტრანსაქციების სამართლიანობა და მომხმარებლის დაცვა.²⁵ ამ კონკრეტულ საქმეში კი სპირტის დაბალი შემცველობის აკრძალვა არც ერთ ჩამოთვლილ საზოგადოებრივ ინტერესს არ ემსახურებოდა. სასამართლომ არ გაიზიარა გერმანიის მთავრობის მიერ სპირტიან სასმელში სპირტის მინიმალური შემცველობის ზღვრის დაწესების დასაბუთება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით (გერმანიის მთავრობა აცხადებდა, რომ დაბალალკოჰოლური სასმელის მოხმარების შედეგად უფრო მაღა ყალიბდება ალკოჰოლის ამტანობა და, შესაბამისად, მეტია ალკოჰოლიზმის რისკი, ვიდრე მაღალალკოჰოლური სასმელების მოხმარებით). სასამართლომ განაცხადა, რომ თანამეგობრობაში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია სპირტის დაბალი შემცველობის მქონე სასმელების ფართო არჩევანი და გარდა ამისა, გერმანული მაღალალკოჰოლიანი სასმელების უმრავლესობა სწორედ განზავებული სახით მოიხმარება. სასამართლომ არც ის არგუმენტი გაიზიარა, რომ სპირტის შემცველობის დადგენილი ქვედა ზღვარი ვითომდა მომხმარებელს იცავდა მოტყუებისა და უსამართლო სავაჭრო პრატიკისგან – სასამართლომ განაცხადა, რომ იმავე მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო პროდუქტის წარმომავლობისა და ალკოჰოლის შემცველობის მითითებით. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს საფუძვლიანი არგუმენტი, რატომ არ შეიძლებოდა გაყიდულიყო ერთ წევრ-ქვეყანაში კანონიერად წარმოებული ალკოჰოლური სასმელი მეორე წევრ-ქვეყანაში და რომ გერმანიის მთავრობის მიერ დაწესებული სპირტის შემცველობის ზღვარი სხვა არაფერი იყო, თუ არა იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვის მსგავსი ეფექტის მქონე ზომა.

ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასამართ-

²⁵ შედარებისთვის: რომის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 36-ე მუხლი უშვებს წევრ-ქვეყნებს შორის პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის შეზღუდვას, თუკი ეს დასაბუთებულია საზოგადოებრივი მორალის, საზოგადოებრივი პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ადამიანთა, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სახელოვნებო, ისტორიული ან არქეოლოგიური ფასეულობის მქონე ეროვნული საგანძუროს დაცვის, ან სამრეწველო, ან კომერციულ საკუთრების დაცვის მიზნებით. თუმცა ასეთი აკრძალვა თუ შეზღუდვა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასათიასა და არ უნდა წარმოადგენდეს შენიბულ დაბრკოლებას წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობისათვის.

ლომ დაავალდებულა წევრი-ქვეყნები ელიარებინათ ერთმანეთის რეგულაციები (ურთიერთალიარება).²⁶ ანუ, თუკი პროდუქტი კანონიერად ინარმოებოდა ერთ წევრ-ქვეყანაში, მისი გაყიდვის შეზღუდვა სხვა ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა, თუკი მიმღები ქვეყანა შეძლებდა დაესაბუთებინა, რომ ეს შეზღუდვა მოსახლეობის ჯანმრთელობის ან სხვა ზემომხსენიებული ინტერესებით იყო განპირობებული. გამოდიოდა საინტერესო ვითარება: წევრ-ქვეყნებს შეძლოთ დაედგინათ წარმოების და გაყიდვის ნებისმიერი მოთხოვნები, მაგრამ მხოლოდ იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც მათ ქვეყანაში ინარმოებოდა. სხვა წევრ-ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციაზე ამ ნორმებს (გარდა სასამართლოს მიერ მითითებული გამონაკლისი შემთხვევებისა) ვერ გაავრცელებდნენ.²⁷

როგორც სასამართლოს ფორმულირებიდან ჩანს, ეს იყო დროებითი ნორმა, სანამ რეალურად განხორციელდებოდა ჰარმონიზაცია. თუმცა ამ კონცეფციამ ევროკომისიას დაანახა ის მიდგომა, რომლითაც სურსათის სფეროში „გაჭედილი“ ჰარმონიზაციისგან თავის დაღწევა შეიძლებოდა: როგორც სასამართლომ განმარტა, ურთიერთალიარების პრინციპი მოქმედებდა ყველა ეროვნულ რეგულირებაზე, გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას ემსახურებოდა. ევროკომისიის ინტერპრეტაციით სურსათის სფეროში ეს იყო ნორმები, რომლებიც ემსახურება:

- 1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას;
- 2) მომხმარებელთა ინფორმირებასა და დაცვას;
- 3) უზრუნველყოფს სამართლიან ვაჭრობას;
- 4) უზრუნველყოფს აუცილებელ საზოგადოებრივ კონტროლს.

მხოლოდ ასეთი ეროვნული ნორმები არ ბათილდებოდა ურთიერთალიარების პრინციპით და ამდენად, მხოლოდ მათი განეიტრალები-

²⁶ მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ურთიერთალიარება“ (mutual recognition) სასამართლოს კონკრეტულად ამ გადაწყვეტილებაში არ უხმარია, სწორედ ეს საქმე ითვლება სურსათის სფეროში ამ კონცეფციის დამატევიდებლად. ზოგადად, ტერმინი mutual recognition რომის ხელშეკრულებში, 220-ე მუხლში ფიგურირებს, წევრ-ქვეყნების მიერ ერთმანეთის ტერიტორიაზე დაფუძნებული ფირმებისა და კომპანიების ურთიერთალიარებისა და მათდამი შესაბამის ქვეყნის მოქალაქეების მსგავსად მოპყრობის ვალდებულების გადმოსაცემად.

²⁷ მაგალითად, აშშ-ში ასე არ არის – შტატს შეუძლია გაამაცროს რეგულირება და ეს გამაცრება გავრცელდება როგორც ამ, ისე სხვა შტატში წარმოებულ პროდუქციაზე, რომელიც ამ შტატში იყიდება. წყარო: [20].

სთვის იყო საჭირო ეროვნული ნორმების ჰარმონიზაცია – ანუ იმავე ტიპის ევროპული ნორმის შემოღება.

ამრიგად, აღარ იყო საჭირო, რომ ყველა სფეროში, სადაც კი ეროვნული რეგულირება არსებობდა, ერთიანი ევროპული რეგულირება ჩამოყალიბებულიყო. სფეროების ნაწილი შეიძლებოდა უწრალოდ „ურთიერთალიარების“ მდგომარეობაში დარჩენილიყო. 1985 წელს ევროკომისიამ მოამზადა წარდგინება ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტისთვის [5], სადაც აღიარებდა, რომ 1969 წლის ჰარმონიზაციის პროგრამა მომზადდა იმ დაშვებით, რომ თუკი სურსათის სფეროში რამე ეროვნული რეგულაცია ან საკანონმდებლო ნორმა არსებობდა, იგი ქვეყნებს შორის ვაჭრობის ტექნიურ ბარიერს წარმოადგენდა და მისი მოსპობა მხოლოდ იმავე ტიპის ერთიანი ევროპული ნორმის შემოღებით იყო შესაძლებელი – „ეროვნული საკანონმდებლო აქტის არსებობა ნიშნავდა თანამეგობრობის საკანონმდებლო აქტის შემუშავების საჭიროებას“. კომისია აღიარებდა, რომ ამ პროგრამის მიღების შემდგომ გასული 16 წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სურსათის კანონმდებლობის ზოგად საკითხებზე წევრ-ქვეყნებს შორის ჰარმონიზაცია (ე.წ. პორიზონტალური ჰარმონიზაცია) შედარებით იოლი მისაღწევია, ხოლო იმ მოთხოვნათა შეთანხმება, რაც ამათუ იმ ტიპის სურსათის შემადგენლობას ეხება (ანუ ვერტიკალური ჰარმონიზაცია), საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამიტომ, ევროკომისიის აზრით, ვერტიკალური ჰარმონიზაცია აღარ უნდა გაგრძელებულიყო. შემდგომი ჰარმონიზაცია მოხდებოდა მხოლოდ ზემოთ აღნერილ, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან სფეროებში, სხვა სფეროები კი ურთიერთალიარების მდგომარეობაში დარჩენიდა.

ზრუნვა მომხმარებელზე

აღსანიშნავია, რომ „ურთიერთალიარების“ მიდგომა მომგებიან მდგომარეობაში აყენებდა იმ წევრი-ქვეყნების მენარმეებს, რომლებსაც ყველაზე რბილი/ნაკლებად მომთხოვნი კანონმდებლობა ჰქონდათ (რომელთაც ამ რბილი მოთხოვნების გამო პროდუქტის წარმოება ნაკლები უჯდებოდათ, ხოლო თუკი ბაზარზე დაშვების პირობები თანაბარი ექნებოდათ, ცხადია, მათი პროდუქცია, სხვა, უფრო მკაცრი რეგულირების პირობებში წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით, უფრო იაფი გამოვიდოდა). ამდენად უფრო მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებში წარმოებული, უფრო მაღალი სარისხის სურსათი

დაუცველი აღმოჩნდა დაბალხარისხიანი სურსათისგან. თუკი ადრე ამ სურსათის დაცვის ერთ-ერთი მეთოდი იყო კონკრეტული დასახელების სურსათის შემადგენლობის ზღვრების დადგენა, Casis de Dion-ის შემდეგ ეს უკვე შეუძლებელი გახდა.

ურთიერთალიარების მიდგომას, როგორც სურსათის სფეროში ბარიერების მოხსნის პრინციპს, საზოგადოების გარკვეული ნაწილის კრიტიკა მოჰყვა (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც მკაცრი ეროვნული ნორმები ჰქონდათ). გამოითქმოდა მოსაზრება, რომ ეს მიდგომა მომხმარებლებს აზარალებდა, ვინაიდან ტრადიცია აჩენდა მომხმარებლის მოლოდინს გარკვეული დასახელების პროდუქტის ხარისხისა და შემადგენლობის მიმართ, ახალ პირობებში კი ეს მოლოდინი უსაფუძვლო ხდებოდა და მომხმარებელი ტყუვდებოდა. გარდა ამისა, ეს მიდგომა მთელ ევროკავშირში იწვევდა სურსათის ხარისხის გაუარესებას – ვინაიდან, ფაქტობრივად, სწორება ხდებოდა ყველაზე რბილ რეგულირებაზე (ყოველ შემთხვევაში, ხარისხის სფეროში).

ამ სამართლიანი კრიტიკის დასაძლევად პოლიტიკურად გამართლებული იყო, რომ სურსათის ხარისხის სფეროში მიმდინარე ლიბერალიზაცია გადაფარულიყო მკაცრი მოთხოვნებით უვნებლობისა და მომხმარებლის დაცვის სფეროებში (სწორება უმაღლეს სტანდარტზე). მართლაც, დაუშვებელი იყო, რომ ერთიან ევროპულ ნორმებს რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ სხვა უფლებების დაცვა გაეუარესებინა ან სურსათის დასახელებათა ლიბერალიზაციას მომხმარებელთა შეცდომაში შეყვნა გამოეწვია. ამიტომ უვნებლობის და მომხმარებელთა დაცვის სფეროში თანამეგობრობის დირექტივები დაცვის მაღალ სტანდარტზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.

ეს საკითხი კონსტიტუციურ დონეზეც დარეგულირდა: ერთიანი ევროპის აქტით²⁸ 1986 წელს შევიდა შესწორება რომის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში. მას დაემატა მუხლი 100ა, რომლითაც დადგინდა, რომ ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით კანონმდებლობის ჰარმონიზაციისას იქ, სადაც საკითხი ეხებოდა ჯანმრთელობას, უვნებლობას, გარემოს დაცვას ან მომხმარებლის დაცვას, საფუძვლად აღებული უნდა ყოფილიყო დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა. ეს ჩანაწერი იმის გარანტიაა, რომ, მაგალითად, სურ-

²⁸ Single European Act – ევროპულ თანამეგობრობათა ქვეყნებს შორის 1986 წლის თებერვალში დადებული ხელშეკრულება, რომლითაც 1987 წლის 1 ივნისიდან ევროპული თანამეგობრობების სადამფუძნებლო ხელშეკრულებებში შესწორებები და დამატებები შევიდა.

სათის სფეროში კანონების ჰარმონიზაციის ან დაახლოებისას არც ერთ წევრ-ქვეყანაში ამ მიმართულებებით ადამიანთა დაცულობა არ გაუარესდება, ანუ ევროპული კანონი ყველა ეროვნულ კანონზე უფრო მაღალი სტანდარტის მქონე კანონის დონეზე მომზადდება.

კიდევ ერთი სამართლებრივი პროცედურა, რომელიც ამ საკითხებს წინ ედგა, იყო ევროპული სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი – ე.წ. „დამატებითობის“ ან სუბსიდიარობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თანამეგობრობას ეროვნული დონის საკითხებში ჩარევა მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუკი მინიჭებული აქვს ეს კომპეტენცია და თუკი საკითხი საერთაშორისო დონეზე უფრო ეფექტურად წყდება, ვიდრე ეროვნულ დონეზე. საზოგადოების ჯანმრთელობა და მომხმარებელთა დაცვა ის სფეროები იყო, რომელზეც იმ პერიოდში ეკონომიკური თანამეგობრობის მანდატი არ ვრცელდებოდა – ეს სფეროები წევრი-ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით უნდა მოგვარებულიყო (მართლაც, ცოტა არალოგიურია, ვაჭრობის გაიოლებაზე ორიენტირებულმა თანამეგობრობამ მოსთხოვს თავის წევრებს გააუმჯობესონ საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ან მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა).

ამ დაბრკოლების გადასალახად 1992 წელს მასასტრიქტის ხელშეკრულებით²⁹ რომის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში შევიდა შესწორება და მას დაემატა ორი მუხლი – 129 და 129ა³⁰, რომლითაც ევროკავშირის ფუნქციებს ჯანმრთელობის³¹ დაცვა (დაცვის მაღალი დონე) და მომხმარებელთა დაცვა³² (დაცვის მაღალი დონე) დაემატა.

რა თქმა უნდა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, თავის მხრივ, მომხმარებელი ბაზრის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოთამაშეა. ეკონომიკური ბაზრის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს ისეთივე ნდობა ჰქონდეს ერთიანი

²⁹ ევროკავშირის დაფუძნების ხელშეკრულება, რომლითაც შესწორებები შევიდა თანამეგობრობათა დამფუძნებელ ხელშეკრულებშიც, დაიდო 1992 წლის 7 თებერვალს, ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს.

³⁰ დღევანდელი რედაქციით ამ მუხლების ნომრებია 152 და 153.

³¹ ჯანმრთელობის დაცვის საკითხი ძირითადად მანც წევრი-ქვეყნების კომპეტენციად დარჩა. ევროკავშირის ფუნქციად მითითებულია კოორდინირება, თანამშრომლობის ხელშეწყობა, დაავადების აფეთქებათა პრევენცია, ინფორმირება და განათლება.

³² დაზუსტებულია, რომ თანამეგობრობას შეუძლია კონკრეტული ზომები განახორციელოს, ეროვნულ ზომებზე დამატებით, რათა დაიცვას მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ეკონომიკური ინტერესები და უზრუნველყოს იგი ადეკვატური ინფორმაციით.

ბაზრისადმი, როგორც ეროვნული ბაზრისადმი [6]. ამიტომ მომხმარებლის ნდობის უზრუნველყოფა თანამეგობრობის ძველი, „ტრადიციული“, წმინდა ეკონომიკური ფუნქციიდანაც გამომდინარეობდა – ის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებისა და ნარმატებით ფუნქციონირებისათვის იყო აუცილებელი.

80-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ნორმების ჰარმონიზაციის საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარდა, გამოჩნდა შემდეგი, არანაკლებ რთული პროცედურა – ამ ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ერთიანი დონის საკითხი. ნორმების დაცვის ფუნქცია ხომ კვლავ ეროვნული კონტროლის სისტემების ხელში იყო, რომლებიც თავისი სტრუქტურით, აგებულებით, პასუხისმგებლობებით და დამოკიდებულებით სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.³³ იმისთვის კი, რომ მომხმარებელს, რომლის ჯანმრთელობა სხვა ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოს ეფექტიანობაზე იყო დამოკიდებული, ეჭვები არ გასჩენოდა, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო კონტროლის ერთიანი სტრანდარტის არსებობა და დაცვა. სამწუხაროდ, რეალობა ამას ხელს არ უწყობდა – 80-იან წლებში მედიის ყურადღების ცენტრში ერთმანეთის მიყოლებით ხვდებოდა სურსათან დაკავშირებული სკანდალები: სალმონელით დაბინძურებული ქათმის ხორცის, კვერცხის, რძის ფეხვნილის გავრცელება ევროპის ბაზარზე, ბოტულიზმის აღმოჩენა თხილიან იოგურტებში, ლისტერია ფრანგულ რბილ ყველში, მეთანოლი ღვინოში, ტყვია რძის ფეხვნილში, ბენზოლი ბუტილირებულ წყალში და სხვა.

ნათელი გახდა, რომ სურსათის ინსპექტირების სტრუქტურისა და ფუნქციონირების განსხვავებული პრინციპები თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყანაში სერიოზულ პროცედურას ნარმოადგენდა. განსხვავდებოდა ინსპექტორთა მონდომება ქვეყნის შიდა ბაზრისთვის განკუთვნილი და სხვა წევრ-ქვეყნებში გასაყიდი სურსათის ინსპექტირებისას – ევროკომისის 1985 წლის კომუნიკეში [5] საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ სურსათის სფეროში ეროვნულმა ინსპექტირებამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ ამ ქვეყანაში გასაყიდი პროდუქცია, არამედ ის პროდუქტებიც, რომლებიც სხვა ქვეყანაში უნდა გაიყიდოს. შესაბამისად, დაუშვებელია ინსპექტირების მიმართვა მხოლოდ მაღაზიებსა და სურსათის რეალიზაციის სხვა

³³ მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სურსათის ინსპექტირება იყო ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივა, ხოლო გერმანიაში ეს ფუნქცია მეაცრად ცენტრალიზებული იყო და ექვემდებარებოდა ცენტრალურ მთავრობას.

პუნქტებზე. ერთიანი ბაზრის იდეისთვის აგრეთვე მიუღებელია ინ-სპექტორების კონცენტრირება იმ პროდუქტებზე, რომლებიც სხვა წევრ-ქვეყნებში გადაზიდვისთვის არის გამზადებული. სანაცვლოდ აუცილებელია სურსათის ინსპექტირებამ მოიცვას სურსათის წარ-მოების, გადაზიდვისა და რეალიზაციის ყველა სტადია.

1989 წელს ევროკავშირის საბჭომ მიიღო სურსათის ოფიციალ-ური კონტროლის დირექტივა,³⁴ რითიც შეეცადა ამ სფეროსთვის ერთიანი საფუძველი ჩაეყარა. მაგრამ სურსათთან დაკავშირებული ყველა ბიზნესაქმიანობისთვის ერთიანი ნორმები და წესები დად-გენილი არ იყო, რაც კონტროლის საფუძვლებს ასუსტებდა (არ იყო მკაფიო, თუ რა უნდა გაკონტროლებულიყო). 1993 წელს ჰიგიენის დირექტივით³⁵ დადგინდა ჰიგიენის მოთხოვნები სურსათის მომზა-დების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის სტადიებისთვის. ამ წესების საფუძვლად გამოკხადდა ე.წ. „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკუ-ლი წერტილების კონტროლის“ („ჰასპის“)³⁶ პრინციპები, რომელთა დანერგვა სურსათის ბიზნესის ჩამოთვლილ პროცესებში მონაწილე ყველა ბიზნესოპერატორს დაევალა. ეს მიდგომა კანონმდებლობის მეტი „ჰორიზონტალობის“ და ზედმეტი დეტალიზაციის თავიდან აც-ილების დეკლარირებული მიმართულების ნაწილი იყო. შემდგომ 1997 წლის „მწვანე დოკუმენტში [13]“ ევროკომისია აღიარებს, რომ „ჰასპის“ მოთხოვნა კანონშემოქმედს უიოლებდა საქმეს (აღარ იყო საჭირო პროცესს ყველა დეტალის გაანალიზება კანონშემოქმედების დო-ნებზე, აგრეთვე ისპონდა კანონმდებლობის ხშირი ცვლის საჭიროება), თუმცა ურთულებდა მენარქმეს და მაკონტროლებელს, ვინაიდან მათზე გადადიოდა სხვადასხვა საქმიანობის დეტალური ანალიზის,

³⁴ Council directive 89/397/EEC of 14 June 1989 on the official control of foodstuffs

³⁵ Council Directive 93/43/EEC of 14 June 1993 on the hygiene of foodstuffs

³⁶ Hazard analysis and critical control points (HACCP), 93/43/EEC დირექტივის განმარტებით, მიდგომა მდგრადი შემდეგში:

- კონკრეტულ სურსათთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების (ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური) დადგენა;
- სანარმოო ციკლის ყველა იმ მონაცემის გამოვლენა, სადაც ეს საფრთხეები შეიძლება სურსათში მოხვდეს;
- ამ მონაცემთბში ისეთი კრიტიკული წერტილების გამოყოფა, რომელთა შემდეგ საფრთხის გაუვნებელყოფა აღარ ხდება;
- კრიტიკულ წერტილებში საფრთხის რეგულარული კონტროლისა და მონი-ტორინგის პროცედურის აწყობა;
- საფრთხეების, კრიტიკული წერტილების და მათი კონტროლისა და მონი-ტორინგის პროცედურის პერიოდული გადახედვა.

საფრთხეების აღმოჩენის, კრიტიკული წერტილების დადგენის და კონტროლისა და მონიტორინგის ზომების მოფიქრების თუ შეფასების ფუნქცია. ეს დავალება განსაკუთრებით რთული მცირე და საშუალო წარმოებებისთვის იყო. ამიტომ 1997 წელს ევროკომისიამ დაიწყო ფიქრი კანონშემოქმედისა და კანონის ობიექტისა თუ აღმსრულებ-ლის დატვირთვათა უკეთ დაბალანსებულ მიდგომაზე, აგრეთვე სხ-ვადასხვა სფეროს კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოების მომზა-დების ხელშეწყობაზე.

BSE-ის სკანდალი

1986-1996 წლებში ევროპაში აგორადა, თანამეგობრობის ისტო-რიაში აღბათ ყველაზე დიდი და ტრაგიკული, სურსათის სკანდალი, რომელმაც ყურადღება კიდევ ერთ საკითხზე – სურსათთან დაკავ-შირებული რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდებსა და პრო-ცედურებზე გადაიტანა. ეს იყო ე.წ. „ძროხის სიგიურის დაავადება“³⁷ ანუ BSE.

ეს დაავადება ძროხებში აღრე არასდროს დაფიქსირებულა – მსგავსი დაავადება ცხვარს სჭირდა, მაგრამ სხვა სახეობებზე მისი გადასვლა არ ხდებოდა. ძროხებში ამ დაავადების პირველი შემთხ-ვევები დიდ ბრიტანეთში 1986 წლიდან გამოჩნდა. მკურნალობა არ არსებობდა და არც დაავადების მიზეზი იყო თავიდან კარგად გას-აგები. დაავადება წარმოუდგენელი სისწრაფით გავრცელდა და 1992 წლისთვის ბრიტანეთში უკვე 37 ათასი ძროხა იყო ამ დაავადებით დახოცილი. გაჩნდა ეჭვები დაავადებული ძროხის ხორცის უვნე-ბლობასთან დაკავშირებით. ბრიტანეთის მთავრობა 1996 წლამდე

³⁷ Mad cow disease, i.e. Bovine spongiform encephalopathy (BSE) – მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ღრუბლისებრი ენცეფალოპათია. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ლეტალური დაავადებაა, რომლის გამომწვევია ე.წ. „პრიონი“ – არასწორი ფორმის მქონე ცილდა (უფრო სწორად, არასწორად დაეცილ/დახვეული ცილებისგან შემდ-გარი ფაბრილა), რომელიც ამა თუ იმ გზით მოხვდა ორგანიზმში (მათ შორის – საჭმ-ლით). პრიონი არ ნადგურდება თერმული დამუშავებით. დაავადების მიზეზი არის ცხოველების კვება ცლლივანი დანამატებით, რომელშიც დაავადებული ცხოველების ქსოვილების გადამუშავების შედეგად მიღებული ცილები მოხვდებილი (ევროპაში იმ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული ძროხის წველადობის გასაზრდელად საკვებ-ში (ცილოვანი დანამატების შერევა, ხოლო ცილოვან დანამატად ძვალ-რბილის ფქვილი გამოიყენებოდა). დაავადების აღმოცენებას და გამოკვლევას ართულებს ძალიან გრძე-ლი საინუბაციო პერიოდი, რომელიც 30 თვედან 8 წლამდე გრძელდება.

იონმუნებოდა, რომ დაავადება ადამიანისთვის საშიში არ იყო. დაავადებული ძროხები ჩევეულებრივად იკვლებოდა და იყიდებოდა. 1990 წელს გერმანიამ, შემდგომ კი, საფრანგეთმა და იტალიამ აკრძალეს ბრიტანული ძროხის ხორცის იმპორტი [9]. თანამეგობრობის სოფლის მეურნეობის კომისიონერმა მაკ-შერიმ³⁸ ეს აკრძალვები მკაცრად გააკრიტიკა და სასამართლოში ჩივილით დაიმუქრა [1]. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ დაავადებული ძროხის ხორცი ადამიანისთვის უსაფრთხო სულაც არ იყო – დადგინდა მისი კავშირი ადამიანის ტვინის ერთ-ერთ უკურნებელ დაავადებასთან (ე.ნ. „კროიცველ-იაკობის დაავადება“³⁹). 1995 წელს 3 ადამიანი გარდაიცვალა ამ დაავადებით.⁴⁰ დღეისათვის ამ დაავადებით უკვე 225 ადამიანია დაღუპული,⁴¹ მათ შორის 176 – დიდ ბრიტანეთში.⁴² 1996 წლის 20 მარტს ბრიტანეთი იძულებული იყო ელარებნა, რომ შეცდა (იმ მომენტისთვის გარდაცვლილ და დაავადებულ ადამიანთა რიცხვი უკვე ათს გაუტოლდა). 25 მარტს ევროკავშირმა აკრძალა დიდი ბრიტანეთიდან ხორცის ექსპორტი,⁴³ მაგრამ საზოგადოების თვალში, მომხმარებელთა დაცვის თვალსაზრისით მისი ინსტიტუციების ეფექტიანობამ სერიოზული დარტყმა მიიღო, განსაკუთრებით ზოგიერთ ეროვნულ სისტემასთან შედარებით, რომელიც საშიში ხორცის იმპორტის შეზღუდვას ჯერ კიდევ 1990-ში ცდილობდა. ფაქტობრივად გამოდიოდა, რომ ერთიანი ბაზარი (ყოველ შემთხვევაში, ურთიერთალიარების პრინციპი) ასუსტებდა უვნებლობის მოთხოვნებს და არა ამკაცრებდა.

1996 წლის 18 ივლისს ევროპარლამენტმა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ღრუბლისებრი ენცეფალოპათიის საკითხთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისია ჩამოაყალიბა, რომელსაც უნდა გამოეკვლია, ჰქონდა თუ არა ადგილი ამ საკითხთან დაკავშირებით თანამეგობრობის კანონმდებლობის არათანმიმდევრულ აღსრულებას

³⁸ MacSharry.

³⁹ Variant Creutzfeldt-Jakob disease.

⁴⁰ დიდი ბრიტანეთის კროიცველ-ჯაკობის დაავადების კვლევისა და ზედამხედველობის ეროვნული უწყების მონაცემებით, იხ.: <http://www.cjd.ed.ac.uk/documents/figs.pdf>

⁴¹ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, იხ.: <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs180/en/>

⁴² დიდი ბრიტანეთის კროიცველ-ჯაკობის დაავადების კვლევისა და ზედამხედველობის ეროვნული უწყების მონაცემებით, იხ.: <http://www.cjd.ed.ac.uk/documents/figs.pdf>

⁴³ აკრძალვა ნაწილობრივ მოიხსნა 1999 წ., თუმცა გერმანიამ და საფრანგეთმა მის გაუქმებაზე უარი თქვეს. აკრძალვა საბოლოოდ გაუქმდა 2006 წ. უფრო დეტალურად იხ.: http://news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/4785610.stm

ან არასათანადო ადმინისტრირებას. 1997 წლის 7 თებერვალს გამოქვეყნდა საგამოძიებო კომისიის ანგარიში (ე.ნ. მედინას ანგარიში) [8]. ანგარიში უაღრესად მკაცრი იყო. ევროკომისია დადანაშაულებული იყო დეზინფორმირების პოლიტიკის გატარებაში, საკუთარ ვალდებულებათა უგულებელყოფაში,⁴⁴ არასწორი გადაწყვეტილებების ევროპარლამენტისთვის გადაბრალებაში. ანგარიშში ნათქვამია, რომ ხდებოდა არა მხოლოდ საზოგადოების დეზინფორმირება, არამედ თანამეგობრობის სხვა ინსტიტუციების ბლოკირებაც. ასე, 1990-1994 წლებში კომისიამ შეაჩერა BSE-ის შემოწმებები დიდ ბრიტანეთში, რითაც შეზღუდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო როგორც საზოგადოებისთვის, ისე თანამეგობრობის ყველა ინსტიტუციისთვის. ამ პერიოდში კომისიამ ამ მიმართულებით კანონშემოქმედებითი საქმიანობაც შეჩერა. კანონპროექტების არარსებობის პირობებში უფუნქციონ იყო ევროკავშირის საბჭოც.⁴⁵ ზოგადად ანგარიში ასკვნის, რომ ევროკომისიამ და ევროკავშირის საბჭომ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე უფრო მაღალი პრიორიტეტი „ხორცის მრეწველობის ეკონომიკურ ინტერესს“ და „ერთიანი ბაზრის მენეჯმენტს“ მიანიჭა. ამის საჩვენებლად სწორედ ის ზემოთ მოხსენიებული ფაქტია მოყვანილი: თუ რარიგ მძაფრი რეაქცია ჰქონდა 1990 წელს საფრანგეთისა და გერმანიის მიერ დიდი ბრიტანეთის ნარმობული ხორცის იმპორტის ცალმხრივ აკრძალვაზე კომისიონერ მაკ-შერის, რომელმაც ევროკავშირის საბჭოს საგანგებო სხდომაც კი მოიწვია ამ საკითხის განსახილველად და იმუქრებოდა, რომ სასამართლოში უჩივლებდა საფრანგეთსა და გერმანიას, თუკი ისინი ამ აკრძალვას არ გააუქმებდნენ. მაშინ კი, როცა აშკარა გახდა ბრიტანეთში დაავადებულ ცხოველთა იდენტიფიცირება და აღრიცხვა, როცა გაირკვა, რომ საექსპორტო ცხოველების ვეტერინარულ შემოწმებას ბრიტანეთის მხარე არადამაკმაყოფილებლად ახორციელებდა, რის შედეგადაც ეპიდემია ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც გადავიდა, არც ამ კომისიონერს, არც საბჭოს და არც ევროკომისიას არ დაუსვამთ (და, მით უმეტეს, სასამართლოში არ გადაუციათ, თუმცა ამის

⁴⁴ ანგარიში ითხოვდა გამოევლინათ და დისციპლინარულად დაესაჯათ ევროკომისიის ის თანამშრომლები, ვანც ეს დაუშვა. განსხვავებული აზრი კი დაფიქსირებული იყო კომისიის ერთ-ერთი წევრის მოსაზრება, რომელსაც ეს შეფასებებიც კი არასაგარისად მკაცრად მიაჩნდა.

⁴⁵ Council of the European Union (1992 წლამდე – Council of the European Communities) – საკანონმდებლო ორგანო (დღესდღეობით არსებითად პარლამენტის ზედა პალატა), შედგება წევრი-ქვეყნების მინისტრებისგან, განსახილველი საკითხის ან სფეროს მიხედვით.

უფლება ჰქონდათ) დიდი ბრიტანეთის მიერ თავის ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხი.

ანგარიშში წამოჭრილი იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომიტეტის ევროკომისიის სხვადასხვა სტრუქტურებში დაქსაქსულობის საკითხი, რაც სფეროს ეფექტურად მართვას ძალზე ართულებდა. კერძოდ, BSE-ის საკითხი ეხებოდა ევროკომისიის მე-3 დირექტორატს (თავდაპირველად შიდა ბაზრის, შემდგომ – მრეწველობის გენერალური დირექტორატი), მე-5 დირექტორატს (ჯანმრთელობისა და უკნებლობის გენერალური დირექტორატი), მე-6 დირექტორატს (სოფლის მეურნეობის გენერალური დირექტორატი) და მომხმარებელთა დაცვის სამსახურს (ანგარიშის მომზადების მომენტისთვის ეს იყო ევროკომისიის 24-ე გენერალური დირექტორატი). მართვის ასეთი დაქსაქსულობა პასუხისმგებლობის ერთმნითისთვის დაკისრების და გულგრილობის ერთმანეთისთვის გადაბრალების შესაძლებლობას იძლეოდა. ანგარიში მიუთითებს, რომ კოორდინირება შესაძლებელი და წარმატებული იქნებოდა მაშინ, თუკი შეიქმნებოდა აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის მსგავსი ერთიანი ორგანო ან ჯანდაცვის ევროპული სააგენტო, რომელიც მსგავსი საკითხების მართვას წარუდღვებოდა.

ანგარიშში აგრეთვე გაკრიტიკებულია ევროკომისიის მრჩეველთა კომიტეტების ინსტიტუტი (იგულისხმება მუდმივმოქმედი ვეტერინარული კომიტეტი⁴⁶ და სამეცნიერო ვეტერინარული კომიტეტი⁴⁷), პირველ რიგში იმის გამო, რომ „მათი მუშაობის ბუნდოვანი, რთული და არადემოკრატიული პროცედურები“, აგრეთვე წევრების შერჩევის მეთოდით განპირობებული ამ წევრების პოლიტიზირება ევროკომისიის გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებში ცალკეული ქვეყნის თუ ცალკეული სამრეწველო დარგის ინტერესების ინფილტრაციის

⁴⁶ შედგებოდა წევრი-ქვეყნების მთავარი ვეტერინარებისგან. განსაზღვრავდა ვეტერინარიის სფეროში ევროკომისიის საკანონმდებლო წინდადებების მიღების პროცედურას – თუკი საკანონმდებლო წინადადება მოიპოვებდა ამ კომიტეტის უმრავლესობის მხარდაჭერას, მისი საბჭოზე გატანა საჭირო აღარ იყო და ევროკომისიას შეეძლო აქტი თავად დაემტაცებონა. თუ ვერ მოიპოვებდა – საკითხი განსახილველად ევროკავშირის საბჭოზე უნდა გასულიყო.

⁴⁷ ევროკომისიის საკონსულტაციო ორგანო შედგებოდა ექსპერტებისგან, რომელთაც ევროკომისია წევრი-ქვეყნების მიერ მიწოდებული სიგბიდან ირჩევდა (წევრი-ქვეყნების თანაბარი წარმომადგენლობა ამ კომისიაში სავალდებულო არ იყო). კომიტეტი ევროკომისიას საკანონმდებლო წინადადებებისთვის ამზადებდა რეკომენდაციებს ვეტერინარიის სფეროში.

შესაძლებლობას ქმნიდა. გარდა ამისა, კომიტეტები დაკომპლექტებული იყო მონოდისციპლინარული პრინციპით (მაგ.: ვეტერინარულ კომიტეტში მხოლოდ ვეტერინარები იყვნენ წარმოდგენილი). არადა ისეთ საკითხებში, როგორიც BSE-ის კრიზისი იყო, მხოლოდ ვეტერინართა რჩევა საკმარისი არ იყო. ანგარიში ასკვნის, რომ უკეთესი იქნებოდა ევროკომისიას ჰქონდა საშუალება დამოუკიდებელი, მულტიდისციპლინარული სამეცნიერო ჯგუფისგან მიეღო კონსულტაცია. კომიტეტების კიდევ ერთი ნაკლოვანება ის იყო, რომ მათი შეხვედრების ოქმები და რეკომენდაციები დახურული იყო საზოგადოებისთვის, ხოლო განსხვავებულ მოსაზრებებს ანგარიშს არ უწევდნენ და არ ახმაურებდნენ.⁴⁸ ანგარიში ითხოვს, რომ მომავალში სამეცნიერო მრჩევლების ყველა მოსაზრება და რეკომენდაცია ცნობილი იყოს საზოგადოებისთვის.

ამასთან, ანგარიშის დასკვნის მიხედვით, BSE-ის ეპიდემიის გავრცელებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, თავად დიდ ბრიტანეთს ეკისრებოდა. კერძოდ, ბრიტანეთმა დაუშვა ცხოველთა საკვების მომზადების ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც არ იყო უსაფრთხო. ⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ დაავადების

⁴⁸ მედინას ანგარიშში მოყვანილია ამის კონკრეტული მაგალითი: ვეტერინარიის სამეცნიერო კომიტეტში წარმოდგენილ გერმანულ მეცნიერს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ადამიანებისთვის BSE-ის რისკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში ევროკომისიას გენერალური დირექტორი საგანგებოდ დაუავტორდა გერმანის ჯამშრთელობის მინისტრს და მოსთხოვა, რომ გერმანული მეცნიერების განსხვავებული მოსაზრები საჯარო არ გამხდარიყო.

⁴⁹ იგულისხმება რორი გარემოება: 1) ცხვრის ძვლებისა და სხეულის ნარჩენების გამოყენება ცხოველების საკვებად გამიზნული ძვალ-რბილის ფქვილის დასამზადებლად მაშინ, როდესაც ცნობილი იყო, რომ მსგავსი დავაგადება – ცხვრის გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათია – ენდემური და ფართოდ გავრცელებული იყო ბრიტანეთში. ამ ბრალდებაზე ბრიტანული მარის პასუხი იყო, რომ ეს მეთოდი 50 წლი გამოიყენებოდა და მთელი ამ ბრიტანული დანავაგდების სხვა ცხოველზე გადამდებარებულა არ დაფიქსირდებულა [7]; 2) ბრიტანეთში, სხვა ქვეყნებისავარ განსხვავებული დაშვებული იყო ცხოველთა ნარჩენების გადამზადება შედარებით დაბალ ტემპერატურაზე, რომელიც მათ სტერილიზაციას არ უზრუნველყოფა. ეს მოსაზრებაც საკმაოდ სადაცოა, ვინაიდან აღნიშნული დაავადებების გამომწვევი აგენტი, ე.წ. „პრიონი“ სტერილიზაციისას არ ნადგურდება.

მედინას ანგარიშის დასრულში მოყვანილი საგამოიხებო კომისიის წევრების განსაკუთრებული მოსაზრებები. საინტერესოა უან-კლოდ მარტინესის მოსაზრება, რომელიც მიჩნევდა, რომ BSE-ის გაჩენა შემთხვევით არ იყო და ის თანამებრობის არასწორი პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა. კერძოდ, ზემოთ აღნიშნული მოვლენები დაკავშირებულია თანამებრობის რჩევის წარმოების კვალიტების სისტემათან. წინასწარ იყო ცნობილი, რომ ეს კვალიტები 1984 წლის წარმოების მოცულობის მიხედვით დაგინდებოდა. ამიტომ ყველა ქვეყანა დაინტერესებული იყო ამ წელს რჩეს

აღმოჩენის შემდეგ, 1988 წელს, ბრიტანეთმა აკრძალა მცოხნავ ცხოველთა საკვებში ამავე ცხოველების ცილების გამოყენება, ამ აკრძალვის აღსრულების რეალური მექანიზმი არ არსებობდა – 1996 წლამდე ამ აკრძალვის დარღვევისათვის ჯარიმაც კი არ იყო დაწესებული.⁵⁰ შესაბამისად, აკრძალვა რეგულარულად იღვეოდა, რამაც დაავადების შემდგომი გავრცელება გამოიწვია. ანგარიში აგრეთვე ადანაბაულებს დიდი ბრიტანეთის მთავრობას, რომ სავარაუდოდ დასწებოვნებული ხორცია და ძვლის ფხვნილის ქვეყნის შიგნით გამოყენების აკრძალვის შემდეგ მან დაუშვა არსებული მარაგების დეპინგურ ფასებად გაყიდვა როგორც ევროკავშირში, ისე სხვა ქვეყნებში, როთაც ეპიდემის ქვეყნის გარეთ გატანის პირობები შექმნა.

ბრიტანეთი აგრეთვე დადანაბაულებულია იმაში, რომ მან არ შეასრულა თანამეგობრობის კანონმდებლობა, რომელიც ეხებოდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემის შემოღებას.⁵¹ ამის გამო კი ფაქტობრივად უშედეგო აღმოჩნდა ევროკავშირის გადაწყვეტილება, რომლითაც აიკრძალა ცხოველების ექსპორტი იმ ნახირიდან, რომელიც წინა ორი წლის მანძილზე BSE იყო დაფიქსირებული.⁵² აღრიცხვის ნაკლოვანებებმა შესაძლებლობა მისცა ფერმებს, რომლებიც წინა პერიოდში „შავ სიაში“ მოხვედრას გადაურჩნენ, ცხოველების დაავადების პირველივე სიმპტომების გამოჩენისას იაფად მიეყიდათ დაავადებული ცხოველები იმ ფერმებისთვის, რომლებიც უკვე იყვნენ „შავ სიაში“ მოხვედრილი და თავისი ნახირისთვის „დაავადებისგან სუფთა ნახირის“

ნარმოების მაღალი მაჩვენებელი ჰქონოდა. ძროხების წველადობის გასაზრდელად კი საჭირო იყო ფერმებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო რაც შეიძლება იაფი ძვალ-რბილის ფევილი. სწორედ ამიტომ გაამარტივა ბრიტანეთმა ამ დანამატის ნარმოების წესები. იაფ ფევილს კი ძროხებს ფერმერები უფრო დიდი ოდენობით აქმევდნენ, ვადრე ადრე. ბრიტანული ძვალ-რბილის ფევილ ყოფილობის დაბინძურებული იყო ცხრის ღრუბლოვანი ენცეფალოპათიის პრინციპით (ვინაფან ცხვრის ეს დაავადება ბრიტანეთში ფართოდ არის გავრცელებული). მეტი ფევილის მიღება მეტი აათოვენის მოხვედრას ნიშანვადა ძროხის ორგანიზმში. პათოგენების მაღალმა კონცენტრაციის კი ბოლოს სახეობათაშორისი ზღვაზე გაარღვა და ძროხების დაავადებად ჩამოყალიბდა.

⁵⁰ [7]-ის მიხედვით, ეს იყო მნარმოებლებთან შეთანხმებული, ე.წ. „ნებაყოფლობითი აკრძალვა“ – აკრძალვის ის ერთადერთი ფორმა, რომელზეც ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის მნისტრი დათანხმდა.

⁵¹ იგულისხმება: Council Directive 92/102/EEC of 27 November 1992 on the identification and registration of animals.

⁵² იგულისხმება: Commission Decision 90/261/EEC of 8 June 1990 amending Decision 89/469/EEC concerning certain protection measures relating to bovine spongiform encephalopathy (BSE) in the United Kingdom and Decision 90/200/EEC concerning additional requirements for some tissues and organs with respect to bovine spongiform encephalopathy.

სახელი შეენარჩუნებინათ. ეს გარიგება „შავ სიაში“ მოხვედრილი ფერმებისთვისაც მომგებიანი იყო – ისინი დაავადებულ ცხოველებს სასაკლაოს აბარებდნენ და მათი დაკვლისთვის განკუთვნილ კომპენსაციას იღებდნენ.⁵³ ამ ურთიერთსასარგებლო გარიგებების შედეგად კი, ევროკავშირის მიერ დანესებულმა შეზღუდვამ, რომლის მიზანი იყო ქეყენიდან დაავადებული ცხოველების გადინების აღკვეთა, ფაქტობრივად აზრი დაკარგა და შედეგი არ მოიტანა.

ანგარიში აგრეთვე ბრალად სდებს დიდ ბრიტანეთს, რომ მან არ გამოიჩინა საქმარისი მონდომება სათანადოდ გაეკონტროლებინა მისთვის დაწესებული ემბარგოს შესრულება; რომ ის ფაქტობრივად აშანტაჟებდა ევროკავშირისა და, სარგებლობდა რა იმით, რომ ვეტერინარულ სამეცნიერო კომიტეტში BSE-ის ჯგუფს ბრიტანელი ხელმძღვანელობდა და მონაწილეთა უმრავლესობასაც ბრიტანელი მეცნიერები ან თანამდებობის პირები შეადგენდნენ, აკონტროლებდა და თავისი სასარგებლოდ ნარმართავდა ამ ორგანოს მუშაობას.

საინტერესოა, რომ 1998 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმაც ჩაატარა აღნიშვულ დაავადებებთან დაკავშირებით 1986-1996 წლებში ბრიტანეთის მთავრობის ქმედებათა საგანგებო გამოკვლევა. მან „ვერ აღმოჩინა კორუფციის, მოტყუფების ან საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანის ნიშნები“ [9]. თუმცა მთავრობის ძირითად შეცდომად მიჩნეულ იქნა არაეფექტური კომუნიკაცია მეცნიერულ წრეებთან – ექცევტებისთვის არასწორი კითხვების დასმა და მათი რეკომენდაციების არასრულად გაგება, გათვალისწინება და გამოქვეყნება. პირველ რიგში ეს ეხებოდა ე.წ. „საუთვუდის ანგარიშის“⁵⁴ დასკვნებს, რომლის მიხედვითაც, დაავადების „საბოლოო მიმღებს“ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ნარმოადგენდა და ადამიანზე დაავადების გადასვლის ალბათობა უმნიშვნელო იყო. ეს დასკვნები გამოტანილი იყო მეცნიერთა მცირე ჯგუფის მიერ, მონაცემებისა და დროის დეფიციტის პირობებში. თავად ამ ანგარიშში გარკვევით

⁵³ 1988 წლიდან ბრიტანეთმა BSE-ით დაავადებულ ცხოველთა განადგურებისთვის კომპენსაცია დააწესა: ცხოველის ღირებულების 50% – დაავადების დადასტურების შემთხვევაში და 100% – თუ კი დაკვლის შემდგომში გამოკვლევამ აჩვენა, რომ ცხოველი დაავადებული არ იყო. წყარო: Bovine Spongiform Encephalopathy, Chronology of events, Department for Environment, Food and Rural affairs, UK, <http://archive.defra.gov.uk/foodfarm/farmanimal/diseases/atoz/bse/publications/documents/chronol.pdf>

⁵⁴ ანგარიში BSE-ის შესაძლო შედეგებისა და დაკავშირებული საკითხების შესახებ მოამზადა 1988 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის ზოოლოგიის პროფესორის, სერ რიჩარდ საუთვუდის (Sir Richard Southwood) ხელმძღვანელობით.

იყო მითითებული, რომ მონაცემთა სიმწირის გამო შეფასებები შესაძლოა არასწორი ყოფილიყო და თუ ეს ასე აღმოჩნდებოდა, შედეგები კატასტროფული იქნებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დაუყოვნებლივ იყო საჭირო სამეცნიერო კვლევების ჩატარება მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად⁵⁵ და დამატებითი მონაცემების საფუძველზე ამ დასკვნების გადახედვა. 1989 წელს მრჩეველთა სხვა ჯგუფმა⁵⁶ მართლაც შეარჩია კვლევის 47 პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა უმეტესი ნაწილი დაფინანსდა კიდეც.⁵⁷ თუმცა, მიუხედავად სამეცნიერო მონაცემების დაგროვებისა,⁵⁸ მთავრობის მრჩეველთა კომიტეტს⁵⁹ არ მიეცა საშუალება ოფიციალურად გადაესინჯა „საუთვუდის ანგარიშის“ დასკვნები – მთავრობამ შესაბამისი კითხვა მათ უბრალოდ არ დაუსვა. შედეგი კი ის იყო, რომ 1990 წელს, როცა უკვე ექსპერიმენტულად დადასტურებული იყო, რომ BSE მარტო ძროხის დაავადება არ არის და ის ღორსა და კატაზე გადადის – რაც იმას ნიშნავდა, რომ „საუთვუდის ანგარიშის“ დასკვნები მცდარ დაშვებას ეფუძნებოდა, მთავრობა გადაწყვეტილებების მიღებისას კვლავაც ჯიუტად მათ ეყრდნობოდა და თავს იმით იმართლებდა, რომ სხვა ოფიციალური დასკვნა მას არ მიუღია. ეს ჩინოვნიკური თვალთმაქცობა ალბათ ოლად გამოაშარავდებოდა, მრჩეველთა კომიტეტის შეხვედრის ოქმები სრულად რომ გამოქვეყნებულიყო – კომიტეტის წევრი მეცნიერები ამ შეხვედრებზე, ცხადია, მსჯელობდნენ იმ მონაცემებზე, რაც მათთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა. მაგრამ მრჩეველთა კომიტეტის შეხვედრის ოქმები და რეკომენდაციები მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენზურის შემდეგ ქვეყნდებოდა (ჯგუფის შეხვედრის ოქმებს სამინისტროს მიერ დანიშნული სამდივნო ამზადებდა), რის შედეგადაც ხდებოდა ოქმებში ყველა იმ საკითხის „შერბილება“, რასაც შეეძლო საზოგადოების შეშფოთება

⁵⁵ აღსანიშვავია, რომ ე.ნ. პრიორით გამოწვეული დაავადებები განსაკუთრებით რთული საკვლევია დაავადების გამომწვევი აგენტის ძალზე მცირე ზომის (პრიორი ვირუსზე კატარაა) და დაავადების უაღრესად გრძელი საინკუბაციო პერიოდის გამო (კვლევა ლოდინის დიდ პერიოდს მოიცავს).

⁵⁶ საკონსულტაციო კომიტეტი კვლევების თაობაზე ჩამოყალიბდა 1989 წლის დასაწყისში. მიკრობიოლოგ დოქტორ დევიდ ტარელის (Dr. David Tyrrell) ხელმძღვანელობით.

⁵⁷ 1997 წლის მდგომარეობით დიდ პრიტანეთს BSE-ის კვლევაზე 60 მილიონი ფუნტი სტერლინგი ჰქონდა დახარჯული – [4]-ის მიხედვით.

⁵⁸ 1990 წელს უკვე ცნობილი იყო, რომ დაავადება გადადის კატასა და ღორზე.

⁵⁹ Spongiform Encephalopathy Advisory Committee – შეიქმნა 1989 წლის ბოლოს, ტაირელის კომიტეტისგან.

გამოეწვია. გასაკვირი არაა, რომ შემდგომში, როდესაც ადამიანთა დაავადება გამოვლინდა, საზოგადოების დიდ ნაწილს ჰქონდა შეგრძნება, რომ მოატყუეს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა და შეგნებულად არბილებდა სურათს.

BSE-ის შედეგები

BSE-ის კრიზისმა ევროკავშირში უზარმაზარი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ბოლო წევთი იყო,⁶⁰ რომელმაც ევროპაში სურსათის უვნებლობის სისტემისადმი საზოგადოების უნდობლობა კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა. აშკარა გახდა, რომ მომხმარებელთა ნდობის აღსადგენად აუცილებელი და სასწრაფო იყო ძირებული რეფორმა.

მედინას ანგარიშის გამოქვეყნებიდან 10 დღის თავზე, 1997 წლის 18 თებრავლს, ევროკომისის პრეზიდენტი უკვ სანტერი გამოდის სიტყვით, რომელშიც სურსათის რისკების ანალიზის გაუმჯობესებისათვის ევროკომისის შესაბამისი სტრუქტურების დაუყოვნებელი რეორგანიზაციის შესახებ აკეთებს განცხადებას [11]. 1997 წლის 30 აპრილს კი ევროკომისისა გამოსცემს ნარდგინებას „მოხმარებლის ჯანმრთელობა და სურსათის უვნებლობა“ [9], რომელშიც აყალიბებს პრინციპებს, რომელზეც აიგება სურსათთან დაკავშირებული რისკის ანალიზისა და კონტროლის ახალი სისტემა. კერძოდ, გადახედვას ექვემდებარებოდა მეცნიერული კონსულტაციების, რისკის შეფასების და კონტროლის სისტემა. მედინას ანგარიში მოხსენიებული იდეა აშშ-ის „სურსათისა და ნამლის ადმინისტრაციის“ მსგავსი სტრუქტურის შექმნის შესახებ შესწავლილი იყო, მაგრამ არ ჩაითვალა მისაღებად. პირველ რიგში იმის გამო, რომ, მნარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ობიექტურობის შენარჩუნებისა და პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხების მომავალში ადეკვატური მართვისთვის აუცილებელი იყო მეცნიერული კვლევების დაშორიშორება გადაწყვეტილებების მიღებისგან (კანონმდებლობის შემუშავებისგან) და ამ უკანასკნელის დისტანციურება მკაცრი და ობიექტური ინსპექტირებისგან.

⁶⁰ 1996 წელს სურსათის სფეროში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც მოხდა: დაიბადა პირველი კლონირებული ცხოველი (ცხვარი ღოლი) და დაიწყო გენმოდიფიცირებული სურსათის მცოცავი ცხოველი. ორივე ამ მოვლენას დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა.

ამრიგად, პირველ რიგში შეიცვალა ევროკომისიის სამეცნიერო მრჩეველთა შერჩევის პრინციპი – BSE-ის კრიზისმა აჩვენა, რომ წევრი-ქვეყნების მთავრობების მიერ სამეცნიერო მრჩეველთა შერჩევა იწვევს მეცნიერებისა და პოლიტიკის აღრევას, რამაც კატასტროფული შედეგები შეიძლება მოიტანოს. მეცნიერების შერჩევის კრიტერიუმი უნდა იყოს მხოლოდ პროფესიონალიზმი და თავისუფლება ინტერესთა კონფლიქტისგან, ხოლო მუშაობის პრინციპი – დამოუკიდებლობა და გამოტანილი დასკვნების სრული გამჭვირვალობა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, გაითვალისწინეს მედინას ანგარიშის მითითება იმის თაობაზე, რომ BSE-ის კრიზისის მართვისას ევროკომისიას მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კომიტეტის დასკვნა უფრო სჭირდებოდა, ვიდრე რამდენიმე მონოდისციპლინარული კომიტეტისა (მაგ.: ცალკე ვეტერინარული საკითხების კომიტეტის და ცალკე ჯანმრთელობის დაცვის). ამიტომ პირველ ეტაპზე შეიქმნა მულტიდისციპლინარული საზეამხედველო სამეცნიერო კომიტეტი, რომელმაც 6 სამეცნიერო კომიტეტის ზედამხედველობა იკისრა. შემდეგ ეტაპზე კი (2002 წლიდან), სურსათის სფეროში ევროკავშირის მეცნიერულმა კვლევებმა იტალიაში განთავსებულ ცალკე ინსტიტუტში – ევროპის სურსათის უვნებლობის უწყებაში⁶¹ – მოიყარა თავი. სურსათის უვნებლობის 2000 წლის „თეთრი დოკუმენტის“ [14] მიხედვით, ეს ორგანო უზრუნველყოფს ყველა მიმართულების წამყვანი მეცნიერული აზრის ასახვას სურსათის უვნებლობის სფეროზე, არის დამოუკიდებელი პოლიტიკისა და სამეწარმეო ინტერესებისგან და გამჭვირვალე და ლია – საზოგადოებრივი განსჯისთვის.

მედინას ანგარიშში ევროკომისია მკაცრად იყო გაკრიტიკებული იმის გამო, რომ 1990-1994 წლებში დიდი ბრიტანეთის მიერ ევროპის კანონმდებლობის შესრულების კონტროლი მოადუნა. ამის მიზეზად კი ევროკომისიაზე ბრიტანეთის პოლიტიკური ზენოლა დასახელდა. 1997 წლის ევროკომისიის წარდგინებაში [9] დიდი ყურადღება აქვს დათმობილი წევრ-ქვეყნებში სურსათის ევროპული კანონმდებლობის კონტროლის გამკაცრებას ევროკომისიის მხრიდან და მისი შესაძლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. როგორც 1997 წლის წარდგინებიდან ჩანს, ევროკომისიას ჰქონდა მცდელობა ამ მიზნით ცალკე მაკონტროლებელი ორგანოც კი ჩამოყალიბებინა,⁶² მაგრამ

ევროკავშირის საბჭო ამას არ დათანხმდა და მაკონტროლებელი ორგანოს დამოუკიდებლობა მისი ფიზიკური დისტანცირების საშუალებით განხორციელდა. ამგვარად, სურსათის სფეროში ევროკავშირის მაკონტროლებელი ორგანო, სურსათისა და ვეტერინარიის ოფისი,⁶³ რომელიც ფორმალურად 24-ე დირექტორატის ნაწილია, ირლანდიაში გადავიდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ ოფისის მუშაობის გამჭვირვალობას – მისი ყველა პროგრამა, ყველა მისი ანგარიში, ქვეყნის შემოწმების ანგარიში, წლიური ანგარიშები – ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე: <http://ec.europa.eu/food/fvo>.

კონტროლის კიდევ ერთი კომპონენტი, რომლის მოწესრიგებაც BSE-ის კრიზისის „შედეგია“, ცხოველების ტოტალურ აღრიცხვას და მათი გამოყენებით მიღებული პროდუქციის სრულ მიკვლევადობას ეხება. 1997 წელს ევროკავშირის საბჭო ამტკიცებს რეგულაციას,⁶⁴ რომელიც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის აღრიცხვა-მიკვლევადობას აჩვერიგებს. 2000 წელს კი სურსათის მიკვლევადობის კონცეფცია უკვე სასურსათო ბაზრის ყოვლისმომცველ პრინციპად გამოცხადდა და 2002 წლიდან ყველა ბიზნესოპერატორისთვის გახდა სავალდებულო.

კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც BSE-ის კრიზისის გავლენით სურსათის ევროპულ კანონმდებლობაში შემოვიდა, არის ე.წ. „წინმსწრები სიფრთხილის პრინციპი“,⁶⁵ რომელიც BSE-ის შემთხვევაში ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: საკმარისად დამაჯერებელი მეცნიერული მონაცემების არარსებობა არ ნიშნავს, რომ პოლიტიკისებს აქვთ უფლება არაფერი მოიმოქმედონ. თუკი შესაძლო საშიშროება ძალზე დიდია, აუცილებელია რეაგირება ან, თუნდაც, დროებითი ზომის მიღება. ეს პრინციპი, რომელიც ძირითადად გარემოს დაცვა-

⁶¹ European Food safety Agency, EFSA.

⁶² მითითებულია ევროკომისიის 1996 წლის წინადადება საბჭოსადმი ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სააგენტოს ჩამოყალიბების თაობაზე, რომელიც საბჭომ არ გაიზიარ. 2000 წლის „სურსათის უვნებლობის თეთრ დოკუმენტში“ [14] მითითებულია, რომ სადამუშენებლო ხელშეკრულების „მცველის“ როლი ევროკომისიას აკისრია და ის უშუალოდ არის პასუხისმგებელი აკონტროლოს, თუ როგორ ასრულებენ წევრ-ქვეყნები ევროკავშირის კაონმდებლობას. იმისთვის, რომ სურსათის სფეროში მომხმარებლის ინტერესები დაცვას, ევროკომისიამ უშუალოდ უნდა შეინარჩუნოს როგორც კონტროლის, ისე რეგულირების ფუნქცია.

⁶³ Food and Veterinary office, FVO.

⁶⁴ COUNCIL REGULATION (EC) No 820/97 of 21 April 1997 establishing a system for the identification and registration of bovine animals and regarding the labelling of beef and beef products, 2000 წლიდან ჩანაცვლდა 1760/2000 რეგულაციით.

⁶⁵ Precautionary principle.

ში გამოიყენება, სურსათის სფეროში ევროპის მართლმასაჯულების სასამართლომ შემოიტანა, სწორედ BSE-ის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, 1996 წელს, ევროკომისის მიერ ბრიტანული ძროხის ხორცის ექსპორტის დროებით აკრძალვის გამო, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირის მართლმასაჯულების სასამართლოში იჩივლა.⁶⁶ საქმის გარჩევის შედეგად სასამართლომ შემდეგი დასკვნა გამოიტანა: იმის გათვალისწინებით, რომ ცხოველებისა და მათგან დამზადებული პროდუქციით გამოწვეულ რისკებთან დაკავშირებული გაურკვევლობა ძალზე დიდი იყო, ევროკომისისას ჰქონდა დამცავი ზომების გატარების უფლება ისე, რომ არ დალოდებოდა რისკის რეალურობის სრულად გარკვევას და მისი სერიოზულობის დადგენას.⁶⁷ მართალია, ამ გადაწყვეტილებაში სასამართლოს ტერმინი Precautionary principle არ გამოყენებია, მაგრამ ფაქტობრივად აღნერა მისი შინაარსი და ამ მომენტიდან წინმსწრები სიფრთხილის პრინციპი ევროპული სურსათის კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად იქცა [16, 23].

ამრიგად, BSE-ის კრიზისმა ბიძგი მისცა ევროკავშირში სურსათის რეგულირების სფეროში ახალი ხანის დაწყებას, რომელიც ხასიათდება ინსტიტუციური რეორგანიზაციით, მეტი სიფრთხილით და მეტი კონტროლით. თუმცა არც სტრუქტურულ რეფორმას, არც კონტროლის გამკაცრებას და არც პასუხისმგებლობათა ახლებურად გადანაწილებას არ შეეძლო შეეჩერებინა საზოგადოებრივი უნდობლობის ტალღა. ყველა გამოკითხვა აჩვენებდა სურსათის პაზრისადმი საზოგადოების ნდობის სერიოზულ დეფიციტს [21]. აშკარა იყო, რომ ეს უნდობლობა მხოლოდ ძროხის ხორცის პაზრით არ შემოიფარგლებოდა და ძალიან მაღლ სხვა ბაზრებსაც გადასწვდებოდა. სერიოზული ეკონომიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად ერთი გზა არსებობდა – ნდობის დაბრუნება ყველა დაინტერესებულ მხარესთან ფართო დაილოგის საშუალებით. ამ მიზნით ევროკომისია ამ პერიოდში აწყობს მთელ რიგ კონფერენციებს, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს. 1997 წელს ევროკომისია გამოსცემს ე.წ. „მწვანე დოკუმენტს“ (Green Paper) – სადისკუსიო მასალას სურსათის კანონმდებლობის ცვლილებების მიმართულების თაობაზე სა-

⁶⁶ საქმე C180/96, დიდი ბრიტანეთი კომისიის წინააღმდეგ.

⁶⁷ “it was open to the Commission, in view of the great uncertainty as to the risks posed by the animals and products concerned, to take the protective measures in issue without having to wait until the reality and seriousness of those risks became fully apparent”.

ჯარო დებატებისათვის [12]. 2000 წელს გამოდის კონსულტაციების საფუძველზე შემუშავებული „თეთრი დოკუმენტი“ სურსათის უვნებლობის სფეროში, რომლის გარშემოც კვლავ გროვდება დაინტერესებულ მხარეთა კომენტარები.⁶⁸ მხოლოდ ამ გრძელი პროცესის შემდეგ და მასზე დაყრდნობით მზადდება სურსათის ძირითადი კანონის პროექტი [15].

„მწვანე დოკუმენტი“ სადისკუსიოდ გამოტანილი ძირითადი კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რამდენად უნდა შეხებოდა სურსათის ე.წ. „პირველად წარმოებას“, ანუ ფერმებს, ის რეგულირება, პასუხისმგებლობები და კონტროლი, რაც ევროპული კანონმდებლობით სასურსათო ჯაჭვის სხვა მოთამაშებზე უკვე ვრცელდებოდა. 2000 წლის „თეთრ დოკუმენტში“ [14] ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია – დოკუმენტში დეკლარირებულია ე.წ. „ყანიდან – თევზამდე“⁶⁹ პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თანაბარი პასუხისმგებლობები, რეგულირება და კონტროლი ვრცელდება სასურსათო ჯაჭვის ყველა მოთამაშეზე – დაწყებული ცხოველთა საკვების წარმოებიდან, სურსათის პირველად წარმოებაზე, გადამუშავებაზე, შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე და, ბოლოს, რეალიზაციით დასრულებული.

„მწვანე დოკუმენტში“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციაა საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი: ბაზარზე განთავსებული სურსათის უპირობო უვნებლობის სამართლებრივი მოთხოვნის შემოტანის საჭიროება ევროკავშირის კანონმდებლობაში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რიგ ქვეყნებში ასეთი საკანონმდებლო მოთხოვნა დადგენილია და ბიზნესოპერატორის მიერ მისი დარღვევა (იმის მიუხედავად, გაიყიდა თუ არა პროდუქტი და მიადგა თუ არა ვინერს რეალური ზიანი) და ადმინისტრაციულ ან კრიმინალურ კანონდარღვევას წარმოადგენს და სასჯელის ან სახდელის დაკისრებას ექვემდებარება. უფრო მეტიც, მოთხოვნა არა მხოლოდ სურსათის უვნებლობას, არამედ მის „სასარგებლობას“ და ადამიანის მოხმარებისთვის გამოსადევობასაც მოიცავს. „მწვანე დოკუმენტში“ აღნიშნულია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობით⁷⁰ ყველა მენარმე

⁶⁸ ევროკომისის ვებგვერდზე ამ დოკუმენტზე მიღებული 100-მდე ორგანიზაციის კომენტარია განთავსებული.

⁶⁹ From Farm to Table.

⁷⁰ იგულისხმება 92/59/EEC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ (Council Directive 92/59/EEC of 29 June 1992 on general product safety), რომელიც შემდგომ ჩაანაცვლა 2001/95/EB დირექტივამ.

ვალდებულია ბაზარზე მხოლოდ უსაფრთხო პროდუქცია განათავსოს და პასუხს აგებს ამ პროდუქციით ვინიმესთვის მიყენებულ ზიანზე.⁷¹ მაგრამ ევროკავშირის კანონმდებლობა არ შეიცავს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ სურსათი უვნებელი, სასარგებლო და ადამიანის მოხმარებისთვის გამოსადეგი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ სურსათი შეიძლება არ იყოს მავნე ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაგრამ არც სასარგებლო ან თუნდაც გამოსადეგი იყოს ადამიანისთვის (მაგალითად, ძალის ან კატის საკვები მზადება ხორცპროდუქტების ნარჩენებისგან, რომელიც ადამიანის მოხმარებისთვის უვარებისად ითვლება. თუმცა თუკი ამ საკვებს ადამიანი მოიხმარს, შესაძლოა ამან არც მის ჯანმრთელობას და არც უსაფრთხოებას არ შეუქმნას საშიშროება). მისაღებია თუ არა, რომ ასეთი პროდუქტების ბაზარზე განთავსება აიკრძალოს?

ამ კითხვაზე პასუხი 2000 წელს სურსათის უვნებლობაზე მიღებულ ე.წ. „თეთრ დოკუმენტშია“ მოცემული – როგორც მოსალოდნელი იყო, სურსათის სასარგებლობის მოთხოვნამ საზოგადოების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, თუმცა ჯანმრთელობისთვის მავნე და ადამიანის მოხმარებისთვის უვარების სურსათის არა მხოლოდ გაყიდვა, არამედ ბაზარზე განთავსება აიკრძალა და კანონდარღვევად გამოცხადდა.

სურსათის ძირითადი კანონი

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ევროკავშირის მიერ 2002 წელს მიღებული „სურსათის ძირითადი კანონის“⁷² შინაარსი გასაგები და ლოგიკური უნდა იყოს. იგი ფაქტობრივად აჯამებს სურსათის რეგულირების სფეროში ევროკავშირის მიერ განვლილ გზას. კანონში თავმოყრილია სურსათის სფეროს რეგულირების ძირითადი, „ჩარჩოს“ დონის ზოგადი დებულებები. მათი უმეტესობა დამატებით, უფრო დეტალურად სხვა რეგულაციებში არის განერილი ან განმარტებული.

⁷¹ იგულისხმება 85/374/EEC დირექტივა (Council Directive 85/374/EEC of 25 July 1985 on the approximation of the laws, regulations and administrative provisions of the Member States concerning liability for defective products). სოფლის მუურნეობის პირველად პროდუქციას და ნანადირევს ეს დირექტივა არ ითვალისწინებს.

⁷² Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety.

178/2002 რეგულაცია სურსათის სფეროში ევროკავშირის ძირითად მარეგულირებელ ჰორიზონტალურ დოკუმენტს წარმოადგენს და შემდეგ დებულებებს მოიცავს:

1. რეგულაცია ადგენს აკრძალვას ჯანმრთელობისთვის მავნე და ადამიანის მოხმარებისთვის უვარების სურსათის ბაზარზე განთვალსაზრისით, მაგრამ არც სასარგებლო ან თუნდაც გამოსადეგი იყოს ადამიანისთვის (მაგალითად, ძალის ან კატის საკვები მზადება ხორცპროდუქტების ნარჩენებისგან, რომელიც ადამიანის მოხმარებისთვის უვარებისად ითვლება. თუმცა თუკი ამ საკვებს ადამიანი მოიხმარს, შესაძლოა ამან არც მის ჯანმრთელობას და არც უსაფრთხოებას არ შეუქმნას საშიშროება). მისაღებია თუ არა, რომ ასეთი პროდუქტების ბაზარზე განთავსება აიკრძალოს?

კერძოდ, რეგულაციის მე-14 მუხლის მიხედვით, „ბაზარზე⁷³ არ უნდა განთავსდეს სურსათი,⁷⁴ რომელიც არ არის უვნებელი“. „ითვლება, რომ სურსათი არ არის უვნებელი, თუკი ის: ა) საზიანოა ჯანმრთელობისთვის, ბ) გამოუსადეგარია ადამიანის მოხმარებისთვის“⁷⁵.

საინტერესოა, რომ არც ერთ მოხსენიებულ ტერმინს რეგულაცია მკაფიოდ არ გამარტივს. სანაცვლოდ იგი ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმის გასარკვევად, არის თუ არა სურსათი მავნე, ჯანმრთელობისთვის საზიანო ან ადამიანის მოხმარებისთვის გამოუსადეგარი. კერძოდ, რეგულაცია ითხოვს, რომ ჯანმრთელობისთვის ზიანთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყოს: ა) ამ პროდუქტის არა მხოლოდ მყისიერი, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ეფექტი იმ ადამიანის ჯანმრთელობაზე, რომელმაც ის შექმაბა, არამდე მისი ზეგავლენა მომავალ თაობებზეც; ბ) სურსათის მოხმარების შედეგად მიღებული კუმულაციური (დაგროვებითი) ტოქსიკური ეფექტი; გ) მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობის განსაკუთრებული მგრძნობელობა – თუკი სურსათი

⁷³ იგულისხმება როგორც თანამეგობრობის შიდა ბაზარი, ისე გარე ბაზარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს მიღებები ქვეყნის თანხმობა მავნე სურსათის/ცხოველთა საკვების იმპორტზე (178/2002 რეგულაციის მუხლი 12).

⁷⁴ რეგულაციის მე-2 მუხლის მიხედვით, სურსათად ითვლება ნებისმიერი ნივთერება ან პროდუქტი (გადამუშავებული, რომელიც გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი), რომელიც გამოიზულია ან მოსალოდნელია, რომ გამოიყენონ ადამიანების საკვებად. სურსათის შედის წყალი, სასმელები, სალენი, სასმელების ნივთერება, რომელიც სურსათის მომზადებისას გამოიყენდა: სურსათში არ შედის თამბაქო, სამედიცინო ნანარი, კოსმეტიკა, ცოცხალი ცხოველები და მცენარეები (გარდა იმ ცხოველებისა, რომლებიც საჭმელად ცოცხალ მდგომარეობაში იყოდება), ცხოველთა საკვები, სურსათის ნარჩენები და დამბინძურებები.

⁷⁵ რეგულაციის მე-15 მუხლი ანალოგიურ მოთხოვნებს ადგენს ცხოველთა საკვებისხის, იმ განსხვავებით, რომ აკრძალვა ვრცელდება ცხოველთა მავნე საკვების არა მხოლოდ ბაზარზე განთავსებაზე, არამედ აგრეთვე იყრძალება ასეთი საკვებით იმ ცხოველების გამოკვება, რომელთაგანაც სურსათი მზადდება. ცხოველთა მავნე საკვებად მიიჩნევა საკვები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ცხოველების ან ადამიანის ჯანმრთელობაზე ან რომლის გამოც ცხოველისგან დამზადებული სურსათი უვნებელი აღარ იქნება.

ამ ჯგუფისთვისაა გამიზნული.

ადამიანის მოხმარებისთვის სურსათის გამოუსადეგრობის დასა-დგენად გათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტორები, რის გამოც სურსათი მიუღებელია ადამიანის მოხმარებისთვის: მისი დანიშნულება, გარე ან სხვა ფაქტორებით დაბინძურება, ლპობა, დაძველება ან გაფუჭება. ყველა შემთხვევაში სურსათის მავნებლობის დადგენი-სას მხედველობაშია მისაღები: а) მოხმარებლის მიერ ამ სურსათის მოხმარების ნორმალური (ჩვეულებრივი, მიღებული) პირობები; б) ამ სურსათის ჯანმრთელობზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აც-ილების საშუალებების თაობაზე მოხმარებლისთვის ეტიკეტით მი-ნოდებული ან სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

სურსათის უვნებლობის დასადგენი პირველი კრიტერიუმია თანამეგობრობის მიერ დადგენილი ნორმები – თუკი სურსათი ამ ნორმებს შეესაბამება, ითვლება, რომ იგი უვნებელია (ყოველ შემთხ-ვევაში, ამ ასპექტებთან/პარამეტრებთან მიმართებით). თუ კონკრეტ-ული სურსათისთვის (ან მისი ამა თუ იმ ასპექტისთვის/პარამეტრისთ-ვის) თანამეგობრობის ნორმები დადგენილი არ არის, ის უვნებლად ჩაითვლება მაშინ, თუკი შეესაბამება იმ ქვეყნის ეროვნულ ნორმებს, სადაც იყიდება.⁷⁶ თუმცა, მიუხედავად დადგენილ ნორმებთან შესა-ბამისობისა, სურსათი შეიძლება აიკრძალოს ან ამოღებულ იქნეს ბა-ზრიდან, თუკი შესაბამის ორგანოებს აქვთ ეჭვი, რომ სურსათი არ არის უვნებელი.⁷⁷

2. რეგულაცია აფუქნებს სურსათის უვნებლობის უზრუნვე-ლყოფის „ყანიდან თევზამდე“ პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგ-ულირება, პასუხისმგებლობები და კონტროლი სურსათის სფეროში ერთიანად ვრცელდება სურსათის სფეროში მოქმედ ყველა ბიზნეს-ოპერატორზე (მათ შორის, ცხოველთა საკვების წარმოებასა და პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე).

⁷⁶ აქ რეგულაცია უთითებს სადამტკნებლო ხელშეკრულების 28-ე და 30-ე (ყო-ილ 30-ე და 36-ე) მუხლებს, რომლის მიხედვითაც, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვა თანამეგობრობის შეგნით დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს დასაბუთებულია საზოგადოებრივი მორალის, საზოგადოებრივი პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ადამიანთა, ცხოველებისა და მცენარეების ჯამრთელობისა და სიცოცხლის დაცის, სახელობრივი, ისტორიული ან არქეოლოგიური ფასეულობის მქონე ეროვნული სა-განძრის დაცვის ან სამრეწველო ან კომერციული საკუთრების დაცვის მიზნებით. თუმცა ასეთი აკრძალვა ან შეზღუდვა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხსიათისა და არ უნდა წარმოადგენდეს შენიდბულ დაბრკოლებას წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობისათვის.

⁷⁷ რეგულაციის მე-15 მუხლი ანალოგიურ ნორმებს აღვენს ცხოველთა საკვები-სთვის.

კერძოდ, რეგულაციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედ-ვით, „რეგულაცია ვრცელდება სურსათისა და ცხოველთა საკვების წარმოების, გადამუშავებისა და გავრცელების ყველა სტადიაზე. ის არ ვრცელდება მხოლოდ შინამეურნეობაში მოხმარებისთვის გან-კუთვნილ პირველად წარმოებაზე ან შინამეურნეობის კერძო (შიდა) მოხმარებისთვის განკუთვნილი სურსათის მომზადებაზე, დამუშავე-ბასა ან შენახვაზე“.

რეგულაციის მე-3 მუხლში დამატებით არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს „წარმოების, გადამუშავებისა და გავრცელების სტადია“: იგი მოიცავს ნებისმიერ სტადიას, იმპორტის ჩათვლით, დაწყებული სურსათის პირველადი წარმოებიდან (ამ წარმოების ჩათვლით), მისი შენახვის, ტრანსპორტირების, გაყიდვის ან მომხმარებლისთვის მი-ნოდებით (მათი ჩათვლით) დამთავრებული, აგრეთვე, სადაც შეესა-ბამება, ცხოველთა საკვების იმპორტს, წარმოებას, გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, გავრცელებას, გაყიდვას ან მინოდე-ბას. პირველადი წარმოება, თავის მხრივ, ნიშნავს სოფლის მეურნეო-ბის პირველადი პროდუქტების მოყვანას, მოვლას ან მოშენებას მო-სავლის აღების, წველის და შინაურ ცხოველთა წარმოების ჩათვლით, დაკვლამდე. იგი აგრეთვე მოიცავს გარეულ ცხოველებზე ნადირობას და თევზაობას.

3. რეგულაცია ითხოვს სურსათის ტოტალური მიკვლევადობის განხორციელებას.

რეგულაციის მე-18 მუხლის მიხედვით, სურსათის წარმოე-ბის, გადამუშავებისა და გავრცელების ყველა სტადიაზე უზრუნ-ველყოფილი უნდა იყოს სურსათის, ცხოველთა საკვების და მათში დამატებული ან დასამატებელი ყველა ნივთიერების მიკვლევადობა. ეს ნიშნავს, რომ სურსათის ან ცხოველის საკვების ყველა ბიზნესოპ-ერატორს დადგენილი უნდა ჰქონდეს აღრიცხვის სისტემა და პრო-ცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, იმ პირის იდენტიფიცირების, რომლისგანაც მიიღეს სურსათი, ცხოველთა საკვები ან ცხოველი, რისგანაც სურსათი აწარმოეს, ან ნივთიერება, რომელიც გამიზნულია ან შესაძლო დამატებული იყოს სურსათში, მეორე მხრივ კი, იმ პირთა იდენტიფიცირება, რომელთაც მიანოდეს თავისი წარმოებული პროდუქტი. ეს ინფორმაცია ბიზნესოპერა-ტორებმა მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდონ შესაბამის უწყებებს და აუცილებელი ინფორმაცია ასევე უნდა ასახონ ბაზარზე განთავსე-

ბული ან განსათავსებელი სურსათის ეტიკეტზე ან თანდართულ ინფორმაციაში.

4. რეგულაცია პირველად პასუხისმგებლობას სურსათის უვნებლობაზე ბიზნესოპერატორებს აკისრებს.

რეგულაციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სურსათის წარმოების, გადამუშავების და გავრცელების ყველა სტადიაზე ბიზნეს-ოპერატორები, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, ვალდებული არიან უზრუნველყონ და ამტკიცონ (ვალიდატე) სურსათის შესაბამისი კანონმდებლობის დაცვა. მე-19 მუხლის მიხედვით, თუკი ბიზნესოპერატორს აქვს ინფორმაცია, რომ სურსათი უვნებლობის დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება, მან დაუყოვნებლივ უნდა წამოიწყოს პროცედურა ამ სურსათის ბაზრიდან ამოსალებად და მომხმარებლისგან გამოსათხოვად.⁷⁸ ყველა ის ბიზნესოპერატორი, ვის ხელშიც პროდუქტმა გაიარა, ვალდებულია ითანამშრომლოს ამ პროცესში. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ პროდუქტი, გარდა იმისა, რომ დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, ჯანმრთელობისთვისაც საზიანოა (იხ. ზემოთ), ბიზნეს-ოპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. მან აგრეთვე უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საფრთხის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების თაობაზე და არ უნდა შეუშალოს ხელი სხვა პირების მიერ სახელმწიფო ორგანოებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელმაც შეიძლება შეამციროს ან აღკვეთოს ამ სურსათით გამოწვეული რისკი.⁷⁹

5. რეგულაცია ითხოვს სურსათის კანონმდებლობის დაცვის ეფექტურ კონტროლს სახელმწიფოს მიერ და სურსათან დაკავშირებული რისკების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.

რეგულაციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყონ, შეამონმოს და ამტკიცოს (ვალიდატე) სურსათისა და ცხოველთა საკვების ბიზნესოპერატორების

მიერ სურსათის კანონმდებლობის აღსრულება.⁸⁰ ამისთვის მათ აწყობილი უნდა ჰქონდეთ სურსათის სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის სისტემა, რომელიც სურსათის წარმოების, გადამუშავების და გავრცელების ყველა სტადიას მოიცავს. ისინი აგრეთვე ვალდებული არიან უზრუნველყონ რისკების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის ეფექტური მინოდება (კომუნიკაცია).

წევრი-ქვეყნები ვალდებული არიან დაადგინონ სასჯელები და სახდელები სურსათის კანონმდებლობის დარღვევისთვის. ეს სასჯელები უნდა იყოს ეფექტურიანი, დარღვევის პროპორციული და დამაჯერებელი⁸¹ (უნდა უზრუნველყოფდეს დარღვევის პრევენციას).

იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სურსათი ან ცხოველთა საკვები შეიძლება რისკს უქმნიდეს ადამიანების ან ცხოველების ჯანმრთელობას, რეგულაციის მე-10 მუხლი ითხოვს, რომ საჯარო უწყებებმა მიიღონ სათანადო ზომები (რისკის ხასიათის, სერიოზულობის და ზომიდან გამომდინარე) ამ რისკების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის. მოსახლეობას უნდა მიეწოდოს შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი ან რა ტიპის სურსათი ან ცხოველის საკვები შეიცავს რისკს, რაში მდგომარეობს რისკი და რა ზომები მიიღება ან იგეგმება ამ რისკების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.

6. რეგულაცია იცავს მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესებს.

რეგულაციის მე-8 მუხლში მითითებულია, რომ სურსათის კანონმდებლობის მიზანია მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებელს შეეძლოს თავისი საკვების არჩევანი ინფორმირებულად გააკეთოს. აღკვეთილი უნდა იყოს სურსათის ფალისფიცია, მომხმარებლის მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ დაბრუების პრაქტიკა. რეგულაციის მე-16 მუხლში დაკონკრეტებულია, რომ მომხმარებელი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი გზით მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით შეცდომაში შეყვანისგან, იქნება ეს სურსათის ეტიკეტი, რეკლამა, ნარდგენა, ასევე – ფორმა, შესახედაობა, შეფუთვა, შესაფუთი მასალა თუ

⁷⁸ ამისთვის მომხმარებლებს ეფექტური საშუალებებით უნდა მიეწოდოს ზუსტი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ ხდება პროდუქტის ბაზრიდან ამოღება.

⁷⁹ რეგულაციის მე-20 მუხლი ანალოგიურ მოთხოვნებს ადგენს ცხოველის საკვების ბიზნეს-ოპერატორებისთვის იმ განსხვავებით, რომ თუკი ცხოველთა საკვები არ შეესაბამება უვნებლობის დადგენილ მოთხოვნებს, სავალდებულოა მისი განადგურება.

⁸⁰ სახელმწიფო ოფიციალური კონტროლის უფრო დეტალური მოთხოვნები და ბიზნესოპერატორებისადმი წაყენებული ჰიგენური მოთხოვნები (რომელიც კონტროლის დროს მოწმდება) განეროლია 2004 წელს მიღებულ 3 რეგულაციისგან შემდგარ ე.წ. „ჰიგიენის პაკეტის“ (2004 წლის 852-ე, 853-ე და 854-ე რეგულაციები) და მასთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებში. უფრო დეტალურად ამ საკითხებზე იხ. ამ სერიის შემდეგი სტატიები.

⁸¹ dissuasive.

საყიდ თაროზე განთავსება-განლაგება. მომხმარებელთა დაცვის დამატებითი დებულებები დაკონკრეტებულია ამ მიზნით 2000 წელს მიღებულ ცალკე რეგულაციაში.⁸²

7. რეგულაცია ითვალისწინებს წინმსწრები სიფრთხილის პრინციპს;

რეგულაციის მე-7 მუხლის მიხედვით, კონკრეტულ სიტუაციაში, თუკი არსებული ინფორმაციიდან ადამიანთა ჯანმრთელობაზე უარყოფოთი ზემოქმედების შესაძლებლობა იკვეთება, მაგრამ მეცნიერულად არ არის დაზუსტებული, ადამიანთა ჯანმრთელობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, უფრო ამომწურავი რისკის შეფასებისთვის საჭირო დაზუსტებული მეცნიერული ინფორმაციის მოლოდინში თანამეგობრობამ შეიძლება დაადგინოს რისკის მართვის დროებითი ზომები. ეს ზომები უნდა იყოს რისკის პროპორციული, არ უნდა აღმატებოდეს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისთვის საჭირო დონეს და უნდა გადაიხდოს გონივრულ ვადებში.

8. რეგულაცია აფუძნებს სურსათის უვნებლობის ევროპულ ორგანოს, როგორც სურსათის სფეროში სამეცნიერო კვლევებისა და დასკვნების გამომტან (რისკის შეფასების) დამოუკიდებელ ინსტიტუციას.

რეგულაციის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად სურსათის რეგულირება უნდა ეფუძნებოდეს რისკის ანალიზს. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რისკის ანალიზი არსებულ სამეცნიერო მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს, უნდა ჩატარდეს დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.

რეგულაციის მე-3 თავი (მუხლები 22-49) მთლიანად ეხება ევროპის სურსათის უვნებლობის უწყების ფუნქციონირებას. იგი ადგენს მის ფუნქციებს, ინფორმაციის მიღების, მართვის და დაფინანსების წესებს, მეცნიერული დასკვნის მოთხოვნის, მომზადების და

წარდგენა-გამოქვეყნების წესებს. უწყებას აქვს თავისი მონიტორინგის სისტემა (ეროვნულ ორგანიზაციათა ქსელი) სურსათის სფეროში ახალი რისკების გამოვლენისა და დეტალური შესავლისათვის. უწყების სამუშაო ჯგუფების ყველა შეხვედრის დოკუმენტი, სამეცნიერო დასკვნები⁸³ და მათი საფუძველი,⁸⁴ ასევე, ანგარიშები ღიაა საზოგადოებისთვის და დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს. უწყება ვალდებულია ეს ინფორმაცია მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს და თავადაც აქტიურად გაავრცელოს.

9. რეგულაციის ბოლო ნაწილი ეხება თანამეგობრობის ფარგლებში სურსათის უვნებლობის საკითხებზე სწრაფი შეტყუბინების სისტემის ფუნქციონირების დეტალებს და საგანგებო სიტუაციათა მართვას. სურსათის სფეროში სწრაფი შეტყუბინების სისტემა ევროკავშირში 1979 წლიდან ფუნქციონირებს. ეს არის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინირების სისტემა ნევრ-ქვეყნებსა და ევროკომისიას შორის. ის უზრუნველყოფს სურსათის შესახებ ბაზარზე ან საზღვარზე გამოვლენილი ინფორმაციის სწრაფად მიწოდებას თანამეგობრობის საჯარო ორგანოებისთვის, სურსათის მთელი პარტიის გამოვლენას და ბაზრიდან მაქსიმალურად სწრაფ ამოღებას, რათა რაც შეიძლება შეცვირდეს მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანი. საგანგებო სიტუაციების მართვასა და კოორდინირებას უზრუნველყოფს ევროკომისია. რეგულაციის მიხედვით, ამ სისტემაში ასევე ჩართულია სურსათის უვნებლობის ევროპული ორგანოც.

აღწერილი დებულებები ევროკავშირში დღეს მოქმედი სურსათის რეგულირების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც უფრო დეტალურად ევროკავშირის რამდენიმე ათეულ ნორმატიულ აქტშია აღწერილი. მათი შინაარსის ქართულად აღწერა ამ სერიის შემდგომ სტატიებში განხორცელდება.

⁸² Directive 2000/13/EC of the European Parliament and of the Council of 20 March 2000 on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs, 2015 წლიდან ჩანაცვლდება ამ regulaciiT: Regulation (EU) No 1169/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on the provision of food information to consumers.

⁸³ ყველა განსხვავებულ მოსაზრებათა მითითებით.

⁸⁴ გარდა მესამე მხარის კუთვნილი კოფიდენციალური ინფორმაციისა, რომლის საიდუმლოდ შენახვა მესამე მხარემ მოითხოვა და გამართლებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის გასაჯაროვება აუცილებელია საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Treaty establishing European Economic Community, 25 March 1957, http://ec.europa.eu/economy_finance/emu_history/documents/treaties/rometrety2.pdf

2. Décision du Conseil du 26 juillet 1966, relative à la suppression des droits de douane et à l'interdiction des restrictions quantitatives entre les États membres et à la mise en application des droits du Tarif douanier commun pour les produits autres que ceux énumérés à l'annexe II du Traité, OJ 165, 21.9.1966, p. 2971–2972, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:P:1966:165:2971:2972:FR:PDF>

3. Conseil Programme General du 28 mai 1969 en vue de l'élimination des entraves techniques aux échanges résultant de disparités entre les dispositions législatives, réglementaires et administrative des États membres, JO C 76 du 17.6.1969, p. 8–8 <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:1969:076:0001:0010:FR:PDF>

4. Council Resolution of 21 May 1973 supplementing the Resolution of 28 May 1969 establishing a programme for the elimination of technical obstacles to trade in industrial products, resulting from disparities between laws, regulations or administrative provisions in the Member States, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:1973:038:0001:0002:EN:PDF>

5. Completion of the Internal Market: Community legislation on Food-stuffs, Communication from the Commission to the Council and the European Parliament, COM(85) 603 final, Brussels, 8 November 1985, <http://aei.pitt.edu/5309/1/5309.pdf>

6. Communication on the free movement of foodstuffs within the Community, 89/C 271/03, OJ C 271, 24.10.1989, p. 3–14, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:1989:271:0003:0014:EN:PDF>

7. Consumer policy in the European Union: an overview, MEMO/92/68, 18/12/1992 http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-92-68_en.htm

8. Report on alleged contraventions or maladministration in the implementation of Community law in relation to BSE, without prejudice to the jurisdiction of the Community and national courts, European Parliament, Temporary committee of inquiry into BSE, Rapporteur: Mr Manuel Medina Ortega, 07 February 1997, A4-0020/97 http://www.europarl.europa.eu/conferences/19981130/bse/a4002097_en.htm

9. Consumer Health and Food Safety, Communication of the European Commission, COM(97) 183 fin. of 30 April 1997, <http://ec.europa.eu/food/fs/sc/comec1en.pdf>

10. Reorganization of the Commission's departments responsible for food health, Brussels, 12 February 1997, IP/97/112, <http://www.reading.ac.uk/foodlaw/eu/doc-1.htm>

11. Speech by Jacques Santer, President of the European Commission, Debate on the report by the Committee of Inquiry into BSE, European Parliament, Strasbourg, 18 February 1997, SPEECH/97/39, http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-97-39_en.htm

12. Food and Veterinary Office Annual Report, April 1998–March 1999, http://ec.europa.eu/food/fvo/annualreports/vi_pol02_en.pdf

13. The General Principles of Food Law in the European Union, Commission Green Paper, Brussels, 30.04.1997, COM (97) 176, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:1997:0176:FIN:EN:PDF>

14. White Paper on Food Safety, Commission of the European Communities, Brussels, 12 January 2000, COM(1999) 719 Final, http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/1999/com1999_0719en01.pdf

15. Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council Laying Down the General Principles and Requirements of Food Law, Establishing the European Food Authority, and Laying Down Procedures in Matters of Food, COM (2000) 716, http://www.reading.ac.uk/food-law/eu/efa_prop_en.pdf

16. Communication from the Commission on the precautionary principle, Commission of the European Communities, Brussels, 02.02.2000, COM(2000) 1, http://ec.europa.eu/dgs/health_consumer/library/pub/pub07_en.pdf

17. Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:031:0001:0024:EN:PDF>

18. FAQ: Rapid Alert System for Food and Feed (RASFF) – role and achievements, MEMO/12/583, 20/07/2012, http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-12-583_en.pdf

19. Phillips, Lord, The Inquiry into BSE and variant CJD in the United Kingdom, 1998 <http://collections.europarchive.org/tna/20090505194948/http://bseinquiry.gov.uk/index.htm>

20. David Vogel, Protective regulation and protectionism in the Euro-

pean Community: The creation of a common market for food and beverages, Haas School of Business, University of California at Berkeley, 1991, http://aei.pitt.edu/7105/1/002150_1.pdf

21. Florence Bergeaud-Blackler, Maria Paola Ferretti More politics, stronger consumers? A new division of responsibility for food in the European Union, , Appetite, Volume 47, Issue 2, September 2006, Pages 134-142, http://hal.archives-ouvertes.fr/docs/00/08/98/69/PDF/APPETITE_EU_Bergeaud_Ferretti_Feb06_mark-up.pdf

22. Belinda Cleland, The Bovine Spongiform Encephalopathy (BSE) Epidemic in the United Kingdom, Case-study for the report: Risk Governance Deficits: An analysis and illustration of the most common deficits in risk governance, International Risk Governance Council, http://irgc.org/wp-content/uploads/2012/04/BSE_full_case_study_web1.pdf

23. Craig Simpson, The Precautionary Principle in European Community Food Law, EU Regulatory Practice, Steptoe & Johnson LLP, 2005, Brussels, <http://www.steptoe.com/assets/attachments/1049.pdf>

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
თბილისი, დელისის | შესახვევი 5ა
ტელ/ფაქსი: (995 32) 399018
office@csrdg.ge www.csrdg.ge